

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

კახა ჩიდრაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

მტკიცების ტვირთი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო
სამართალში

სამართლის მაგისტრის (ML1701PL) - აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ა. იოსელიანი

ასოც. პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი
2019

ანოტაცია

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ყოველდღიურად იზრდება სასამართლოსადმი მიმართვიანობა, რაც კონსტიტუციით აღიარებული უფლებაა. საქართველოს კანონმდებლობითა და სასამართლოს მიერ დანერგილი მყარი სასამართლო პრაქტიკით, ნათელი გახდა, რომ მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ სამართლიანობის, არამედ მტკიცებითი სამართლით გათვალისწინებული წესების დაცვით.

წინამდებარე ნაშრომი ეხება უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ინსტიტუტს - მტკიცებით სამართალს. მასში განხილულია მტკიცებულების რაობა, მნიშვნელობა, მტკიცებულებათა სახეები და რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობაში სპეციფიკურ მტკიცებულებათა სახეობის დამატების აუცილებლობის შესახებ.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია უმნიშვნელოვანესი პროცესუალურ-სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც განსაზღვრავს მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხსა და შედეგს. ნაშრომი შეეხება, როგორც საკანონმდებლო ხარვეზებსა და მათ არაეფექტურობას, აგრეთვე მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, რის შედეგადაც მხარის მიერ შეუძლებელი ხდება უფლების რეალიზება.

საკვლევი ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს ის საკანონმდებლო და პრაქტიკით გამყარებული რეგულაციები, რომლებიც ხელს უშლის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების სრულფასოვნად რეალიზებას. ასევე ხელი შეუწყოს მტკიცებითი სამართლის, როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებას.

ნაშრომში განხილულია, არსებული სამართლებრივი პრობლემების მოწესრიგების საშუალებები და რეკომენდაციები, სხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემებისა და საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე.

Burden of proof in Georgian civil procedure law

Annotation

In civil law, daily appeal to court is increasing, which is acknowledged by the Constitution. According to the Georgian legislation and the courts in the courts, it has become clear that justice should be carried out not only in terms of fairness but also in accordance with the provisions of the law.

The present work deals with the most important legal institution - claiming justice. It considers evidence, value, evidence of the evidence and recommendations on the necessity of adding specific types of evidence in Georgian legislation.

The present work deals with minor processes and processes that determine the quality and outcome of the judiciary. The work concerns both legislative shortcomings and their inefficiency as well as the mistakes made by the Parties, which resulted in the realization of the right of the Party.

The aim of the research paper is to find out the regulations that are legitimate and practicable to prevent the full implementation of the guaranteed right of the Constitution of Georgia. Also promote the development of the law of justice as the most important law of law.

The paper discusses the means and recommendations for the settlement of existing legal problems, based on the analysis of legal systems of Georgia and Georgian legislation.

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. მტკიცების ტვირთის ცნება და მისი შინაარსი	8
1.1 მტკიცების ტვირთი ქართულ ჩვეულებით სამართალში	8
1.2 მტკიცების ტვირთი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და სასამართლო პრაქტიკით	15
1.3 მტკიცების ცნება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით	25
თავი II. მტკიცების საშუალებები (მტკიცებულებები)	32
2.1 მტკიცებულებათა სახეები	32
2.2 აუცილებელი მტკიცებულებები	48
2.3 არასაკმარისი მტკიცებულებები	49
თავი III. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება	52
3.1 მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბექტები	52
3.2 მტკიცებულებათა მოპოვება	54
3.3 შესაგებლის როლი მტკიცების ტვირთის ზიდვაში	56
დასკვნა	64
გამოყენებული ლიტერატურა	70

შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების არსებობის და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ერთ-ერთი, ყველაზე, მნიშვნელოვანი გარანტია საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლებაა. თუმცა სასამართლოსთვის მიმართვა, ჯერ კიდევ, არ ნიშნავს უფლების დაცვას. მტკიცების ტვირთი მართლმსაჯულების განხორციელების, უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მტკიცების ტვირთის განხორციელება არ არის სკანონმდებლო იმპერატივი, არამედ სასამართლოს მიერ შესაძლო მისაღები გადაწყვეტილების წინაპირობაა, რომელიც პირდაპირპროპორციულია, მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის ზიდვისა. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი, არის ძალდაუტანებელი იძულება მხარეთა აქტიურობისა.

საკვლევ ნაშრომში განხილულია სამოქალაქო უფლებამოსილების განხორციელებისა და დაცვის უმნიშვნელოვანესი პროცესუალურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, მტკიცების ტვირთი და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.

წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხების კვლევისას გამოიკვეთა, ის საკანონმდებლო და სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის ხარვეზები, რომლებიც აბრკოლებს მართლმსაჯულების განხორციელებასა და სამოქალაქო პროცესში მონაწილე პირებისთვის სასურველი შედეგის დადგომას. ამასთან, სასამართლოსთვის მიმართვიანობის ზრდასთან ერთად, გამოაშკარავდა მხარეთა მიერ დაშვებული პროცესუალური შეცდომები, რომლებიც აისახება სამოქალაქოსამართლებრივი საქმის განხილვის მსვლელობასა და შედეგზე.

თანამედროვე სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც აშკარაა ერთ-ერთი მხარის კანონსაწინააღმდეგო ქმედება, თუმცა გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ არის მიღებული. აღნიშნული გამომდინარეობს არა მხოლოდ სასამართლოს მიკერძოებით, არამედ მხარის მიერ მტკიცებითი სამართლის წესების დარღვევითაც. თუ მხარემ სათანადოდ ვერ ზიდა მასზე დაკისრებული

მტკიცების ტვირთი, ის ვერ მოახერხებს უფლების რეალიზებას. შედეგად კი სამართალწარმოების ფორმალური მხარის დაუცველობას ეწირება მატერიალური მხარე - მართლმსაჯულება.

საქართველოს სამოქალაქო პროცესის მოქმედი რედაქცია აგებულია შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპზე და იშვიათი გამონაკლისების გარდა, გამორიცხავს ინკვიზიციურობის პრინციპს. შესაბამისად, პროცესის წარმართვა, ისევე, როგორც შედეგი, მხარეთა ეფექტური ჩართულობის პირდაპირპროპორციულია.

მართლმსაჯულების სრულფასოვნად განხორციელებისათვის უნდა გაირკვეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარის ჩართულობა, მხარის მიერ სამართლებრივი წინდახედულობის გამოჩენა, მტკიცებულებების შექმნა, მათი წარდგენა. ასევე, საკითხი იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს მტკიცებულებათა საკმარისობა.

მეტად აქტუალურ და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ისეთი სამოქალაქო საპროცესო ინსტრუმენტი, როგორცაა შესაგებელი (შეპასუხება). სასამართლო პრაქტიკაში ხშირია მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის ზიდვისას დაშვებული ხარვეზები. მაგალითად, პრაქტიკაში მოპასუხე უმეტესად გამოიყენებს, შესაგებლის უმარტივეს ფორმას და მხოლოდ მიუთითებს, რომ არ ცნობს სარჩელს, თუმცა არაფერს ამბობს სარჩელის გამომრიცხველ გარემოებებზე. მნიშვნელოვანია სასამართლოს შეფასება ასეთი შესაგებლისა და ის თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს საქმის განხილვის შედეგზე, მოპასუხის ამგვარმა ფორმალურობამ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რას გულისხმობს კვალიფიციური შესაგებელი.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მხარეები აღჭურვილნი არიან უფლებით მთავარი სხდომის ჩანიშვნამდე დააზუსტონ შესაგებელი. ასეთ შემთხვევაში კი, უსაფუძვლოდ ჭიანჭურდება მართლმსაჯულება. უარეს შემთხვევაში კი, თუ მოსამართლე საქმეს მიიჩნევს მომზადებულად და დროზეადრე ჩანიშნავს მთავარ სხდომას (რაც საკმაოდ ხშირად ხდება), მხარეს

ერთმევა შესაძლებლობა დააზუსტოს წარმოდგენილი შესაგებელი. შედეგად, სასამართლო მიიღებს მხარისთვის არასასურველ გადაწყვეტილებას, რაც გამოწვეულია მხარის საპროცესო უფლებამოსილების არასრულფასოვნად განხორციელებით.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისა და ქვემდგომი სასამართლოების პრაქტიკული მიდგომა მტკიცების ტვირთთან და კვალიფიციური შესაგებლის წარდგენის ვალდებულებასთან მიმართებით, შეიძლება ითქვას, იდენტურია.

მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს ვინ რა უნდა ამტკიცოს და როგორ, რათა საქმე ეფექტურად იქნას მომზადებული, განხილული და გადაწყვეტილი.

საკვლევი ნაშრომის მიზანი და ამოცანა არის საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრის გზების ძიება. რათა გაიზარდოს მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებისა და მტკიცებითი სამართლის, როგორც უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დარგის განვითარების შესაძლებლობა. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის კვლევის, უცხო ქვეყნების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაშრომში განხილული იქნება მტკიცებით სამართალში არსებული პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

გამოყენებული კვლევის მეთოდები. ნაშრომის კვლევისას გამოყენებულია კომპარატივისტიკის, სისტემური ანალიზის, შედარებითი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავისა და დასკვნისგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

თავი I. მტკიცების ტვირთის ცნება და მისი შინაარსი

1.1 მტკიცების ტვირთი ქართულ ჩვეულებით სამართალში

სამოქალაქო სამართალურთიერთობისათვის დამახასიათებელია, მხარეების მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულება.¹ თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეთა კეთილსინდისიერების იმედი უშედეგოა. ასეთ შემთხვევაში, ძველი მსოფლიოს ხალხები, საკუთარი უფლებების დასაცავად, მიმართავდნენ თვითანგარიშსწორებას.² ადამიანები თვითდახმარებით ცდილობდნენ აღედგინათ დარღვეული უფლებები, რაც წარმოშობდა ძალადობას.

რომის იმპერიის განვითარებამ განაპირობა საჯარო წესრიგის დამკვიდრების აუცილებლობა, შედეგად დაიწყო სამართლის ფორმირება. სამართლის მატერიალური ნაწილის რეალიზება, თავის მხრივ მოითხოვდა ფორმალურ საშუალებას, მიზნის მიღწევის პროცედურას - სასამართლო პროცესს. მატერიალურსამართლებრივი წინაპირობის არსებობა, არარსებობის დასადგენად აუცილებელი იყო - მტკიცებულება.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად, განვითარდა სამართალიც და შემდგომი პერიოდის რომაელი იურისტები, ქმნიდნენ ხელშეკრულების პროექტებს, ანდერძებს და სხვა დოკუმენტებს. იურიდიული საქმიანობის მნიშვნელოვანი ელემენტი იყო კონსულტაციების გაცემა („აგერე“) სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე.³ დავის განხილვისას, ყურადღებით ისმენდნენ მხარეთა ახსნა-განმარტებებს, მოწმეთა ჩვენებებს და იკვლევდნენ მტკიცებულებებს. რომში მტკიცებითი საქმიანობა მხარეთა თავისუფლებით ხასიათდებოდა. ხოლო, თუ რომელიმე მხარე არ გამოცხადდებოდა

¹ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა“, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016. 9.

² მეტრეველი ვ., „რომის სამართალი“ (საფუძვლები), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2009, 118.

³ ნადარეიშვილი გ., „რომის სამოქალაქო სამართალი“, (მესამე გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2009, 18.

მოსამართლესთან, გადაწყვეტილება მიიღებოდა გამოცხადებული მხარის სასარგებლოდ.⁴

მტკიცების ტვირთი სხვადასხვა საქმეზე, განსხვავებულად ნაწილდებოდა. მაგალითად, სავინდიკაციო სარჩელის აღძვრისას, მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა, რომ ნივთი მისი საკუთრება იყო. მოპასუხე თავისუფლდებოდა მტკიცების ტვირთისაგან, ვინაიდან ნივთის ფლობა წარმოშობდა პრეზუმფციას საკუთრების უფლების შესახებ.⁵ უფრო მეტიც, სასამართლოს მიმართ პატივისცემას ჯერ კიდევ მაშინ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობით ამკვიდრებდნენ. ნათელია, რომ ამ პერიოდის საპროცესო სამართალი საკმაოდ გონივრული იყო და შეიცავდა ისეთი მტკიცებულების ნაისახეობასაც, როგორცაა - პრეზუმფცია.

საქართველოში, სახელმწიფოს მართვასა და ფორმირებაზე, ისევე, როგორც სამართალზე, ძლიერი გავლენა ჰქონდა რელიგიას. „სამართლის სფეროში, იმგვარადვე, როგორც სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრებაში, ორი მთავარი უწყება მოქმედებდა, ერთის მხრივ თვით სახელმწიფოს ხელისუფლება, მეორეს მხრით ეკლესია“.⁶ შესაბამისად „სამართლის ძეგლებიც ორნაირი იყო, საეკლესიო და საერო კანონმდებლის ძეგლები არსებობდა“.⁷ შეხედულებები, რომლებიც ეკლესიურ ფასეულობებს ეფუძნებოდა ჩამოყალიბდა ჩვეულებით სამართლად კანონური მნიშვნელობის იყო. ქართველები კარგად ორგანიზებულ სამართლის ძეგლებს ქმნიდნენ. სამართალი დაყოფილი იყო დარგებად და ქვედარგებად. განსაკუთრებით მიუღებელ ქმედებებზე, სამართლის კერძო ნაწილი ვრცელდებოდა სადაც დეტალურად იყო განსაზღვრული სასჯელები.⁸

⁴ ნადარეიშვილი გ., „რომის სამოქალაქო სამართალი“, (მესამე გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2009, 25.

⁵ იქვე, 72.

⁶ ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის იტორია, წიგნი პირველი, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1928, 8; იხ. <http://www.library.court.ge/upload/qasais_1.pdf> [24.03.2019].

⁷ იქვე, 8.

⁸ აბრამიშვილი ლ., „მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები ძველი ქართული სამართლის წიგნების მიხედვით“, (სტატია) სამართლის ჟურნალი, Journal of Law, თბილისი, N1, 2011, 5-20; იხ. <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Sam%20journ%20N1%202011.pdf> [24.03.2019].

ჩვეულებითი სამართლის მტკიცებულებათა უმრავლესობა რელიგიური შეხედულებებით იყო განპირობებული. XIX-XX საუკუნის ცნობებით, ქართული ჩვეულებითი სამართალი იცნობდა შემდეგ მტკიცებულებებს: „ფიცი, აღიარება, ცოდვის მოკიდება, ორდალები, მოწმის ჩვენება, ნივთიერი მტკიცებულებები, ექიმის ჩვენება, ასევე მტკიცებულებანი, რომლებიც „მიცვალებულისადმი შეწირვის“ ელემენტს შეიცავენ“.⁹

„ორდალთაგან ფიქსირდება „შანთი“ და „მდულარე“ ასევე, გამოცდა „ცივი წყლით“. დაჭრა-დასახიჩრების საქმეებზე გამოიყენებოდა ექიმის ჩვენება. მაგალითად, ხევსური მედიატორები განაჩენის გამოტანისას დაჭრა-დასახიჩრების საქმეებზე ეყრდნობოდნენ დაჭრილის მკურნალი ექიმის ჩვენებას“.¹⁰

ორი ეჭვმიტანილის არსებობისას გავრცელებულ მტკიცებულებად გამოიყენებოდა, ასევე, ორთაბრძოლა - დუელი, რომელშიც გამარჯვებული გამართლდებოდა, მისი სიმართლის მტკიცებულება იყო გამარჯვება. დუელისთვის „დანიშნულ დღეს მებრძოლები გამოცხადდებოდნენ ცხენზე ამხედრებულნი, შეიარაღებულნი, მოწმეების თანდასწრებით. ისინი აბჯარასხმული ფარით, შუბითა და ხმლით ხვდებოდნენ ერთმანეთს“.¹¹

ქრისტიანულ საქართველოში ყველაზე მყარ მტკიცებულებად მიიჩნეოდა ფიცი. ფიცს საქართველოს არაერთ მაღალმთიან რეგიონში XX საუკუნის მიწურულამდე იყენებდნენ მთავარ მტკიცებულებად.¹² ფიცს მოქმედი კანონმდებლობაც იცნობს, თუმცა აშკარა სახესხვაობით.¹³ მოქმედი კანონმდებლობით ფიცის ინსტიტუტი

⁹ დავითაშვილი გ., „სასამართლო მტკიცებულებათა სისტემა ქართულ ჩვეულებით სამართალში“ (სტატია) Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence N1, 2004,12; იხ. <[file:///C:/Users/user/Downloads/1023%20\(2\).pdf](file:///C:/Users/user/Downloads/1023%20(2).pdf)>[23.03.2019].

¹⁰ იქვე, 12.

¹¹ გაბისონია ლ., „სამეგრელო საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია“, (ტომი I), მერიდიანი, თბილისი, 2005, 177-178.

¹² დავითაშვილი გ., „სასამართლო მტკიცებულებათა სისტემა ქართულ ჩვეულებით სამართალში“ (სტატია) Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence N1, 2004,12; იხ. <[file:///C:/Users/user/Downloads/1023%20\(2\).pdf](file:///C:/Users/user/Downloads/1023%20(2).pdf)>[23.03.2019].

¹³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 153-ე მუხლი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[23.03.2019].

გამოიყენება, როგორც მოწმის, აგრეთვე ექსპერტის მიმართ, ჩვენების ჩამორმევის შემდეგ, თუ სასამართლო მიიჩნევს აუცილებლად და თუ მათ მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.¹⁴

ჩვეულებით სამართალში უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი იყო „ხატზე გადაცემა“ აღნიშნულ ხერხს დაზარალებული მიმართავდა, იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავის ვინაობა უცნობი იყო. დაზარალებული საჯაროდ აცხადებდა დამნაშავის „ხატზე გადაცემის“ შესახებ, რის შემდგომაც არც თუ ისე იშვიათად დამნაშავე თავად გამოტყდებოდა დანაშაულში.

„ქურდიც სალოცავად მოსაულოთა შორის დგას და ისმენს ხატზე გადაცემას. ამ წუთიდან იგი მოსვენებას კარგავს, მას ღვთის შიში შეიპყრობს, ჩავარდება ლოგინად და აბოდებს მოპარული ცხენების ამბავი, სთხოვს სიზმარში, წმინდა გიორგი მაპატიეო. ამის შემდეგ ქურდი იძულებულია გაგზავნოს მოციქულები (ხალხი) ცხენის პატრონთან „ალობის“ (შენდობის) მისაღებად, თავზე ფულის შემოვლებას ეხვეწებიან, პირდებიან მონაპარის ორმაგად ანაზღაურებას. დაზარალებულიც ქურდის აღმოჩენით გახარებული თანხმდება, მიდის ქურდის სახლში, თავზე ფულს შემოავლებს და სთხოვს წმინდა გიორგის მის მორჩენას. შემდეგ ორივე მხარე მიდის წმინდა გიორგის ეკლესიაში, მიაქვთ ძღვენი, საქმეში ჩარევენ მეხატულს და სთხოვენ აპატიოს დამნაშავეს, ნუ მოჰკლავს, ძღვენს მართმევენ ხატს, ფულს აძლევენ მეხატულს, ორი ცხენის საფასურს აძლევენ დაზარალებულს. ასე მთავრდება დავა“.¹⁵

სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამართლის გვერდიგვერდ, მიუხედავად კარგად ორგანიზებული სისტემისა, ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა ადამიანური ფაქტორი. „სცენაზე ყველაფერია: უზენაესი მოსამართლე, ძღვენი, ქრთამი, ურომლისოდაც არაფერი კეთდება...“.¹⁶ შესაბამისად, რაც უფრო მაღალზნეობრივი მოთხოვნები ჰქონდა საზოგადოებას, ამა თუ იმ პირისგან, მით

¹⁴ იქვე, 175-ე მუხლი.

¹⁵ გაბისონია ლ., „სამეგრელო საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია“, (ტომი I), მერიდიანი, თბილისი, 2005, 181.

¹⁶ იქვე.

უფრო მკაცრი იყო პასუხისმგებლობაც. მაგ: „ქრთამის აღება, მით უმეტეს, მოსამართლეების მიერ, უდიდეს ზნეობრივ დაცემულობად მიაჩნდა „ბექა-აღბულას სამართლის წიგნის“ შემდგენელს“.¹⁷ შესაბამისად, მექრთამეობაში ექვმიტანილს განსაკუთრებით მძიმე მტკიცების ტვირთი ჰქონდა, კანონმდებელი მას „მდულარე წყალიდან გავარვარებული რკინის ამოღებას აკისრებდა“.¹⁸ იმ შემთხვევაში თუ ექვმიტანილი არ დაზიანდებოდა, გამართლდებოდა, ხოლო ზიანის შემთხვევაში დამნაშავედ მიიჩნეოდა.

ასეთი მტკიცებულება, რა თქმა უნდა, არაეფექტური იყო. სავარაუდოდ, განვითარების ამ ეტაპზე, ნაკლებად იყო განვითარებული ცნობები მედიცინასა და ადამიანურ შესაძლებლობებზე, რადგან უდანაშაულო ადამიანიც კი ვერ ზიდავდა ასეთ მძიმე მტკიცების ტვირთს.

ჩვეულებითი სამართლისთვის სამართლიანობის აღდგენა (სამართლის ქმნა) საღვთო მნიშვნელობის იყო. შესაბამისად, ადამიანები მათ მიერ მოფიქრებულ სასჯელებს ღვთიურ განგებად რაცხავდნენ.¹⁹ თუმცა, საზოგადოების განვითარებამ, სამართალი ღმერთებიდან ადამიანებს დაუბრუნა.

ქართულ ჩვეულებით სამართალში, სამართლის ბარბაროსულ მიდგომებს შორის, შეინიშნება თანამედროვე საპროცესო სამართლის ჩანასახები. მაგალითად, რთული საქმის განხილვისას, თითო მხარე ირჩევდა ერთ მოსამართლეს, ხოლო არჩეული მოსამართლეები, ირჩევდნენ მესამე, მომხსენებელ (*Referendario*) მოსამართლეს.²⁰ რაც ძალიან გავს კოლეგიური სასამართლოს ფორმირების საწყისებს.

ადრეული ხანის სამართალი სხვადასხვა მტკიცებულებას ითვალისწინებდა, მათ შორის, როგორც ვარგის მტკიცებულებებს, ასევე სამართლებრივად უვარგის

¹⁷ აბრამიშვილი ლ., „მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები ძველი ქართული სამართლის წიგნების მიხედვით“, (სტატია) სამართლის ჟურნალი, Journal of Law, თბილისი, N1, 2011, 5-20; იხ. <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Sam%20journ%20N1%202011.pdf> [24.03.2019].

¹⁸ იქვე, 5-20.

¹⁹ იქვე.

²⁰ გაბისონია ლ., „სამეგრელო საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია“, (ტომი I), მერიდიანი, თბილისი, 2005, 183.

მტკიცებულებებს. მაგ.: ვახტანგ VI სამართლის წიგნი ითვალისწინებდა ცრუ მოწმეს, როგორც უვარგის მტკიცებულებას, რომელსაც შემგომ ის სასჯელი დაეკისრებოდა, რაც მის მიერ დადანაშაულებული პირისთვის იყო გათვალისწინებული. გარდა ფინანსური სანქციისა, ფიზიკური ტანჯვაც მოელოდა ცრუ მოწმეს.²¹

ჩვეულებით სამართალში „გადამწყვეტი მტკიცებულება იყო აღიარება“.²² აღიარება, უმნიშვნელოვანესი პროცესუალურსამართლებრივი ინსტიტუტია მოქმედი კანონმდებლობითაც და დროის მსვლელობასთან ერთად მნიშვნელობა არ დაუკარგავს.²³ თუმცა განსხვავდება აღიარების მოპოვების ხერხები.

სამეგრელოში, იმ შემთხვევაში, როცა ბრალის ნიშნები არ იყო გამოკვეთილი, „ეჭვიტანილს გამოსატებად ჩამოჰკიდებდნენ ხეზე თოკით ცალი ხელით. ტანის სიმძიმე იმდენად ძნელი ასატანია ასეთ მდგომარეობაში, რომ მიბმული ხელის კანი იხევა სწორედ იმ ადგილას, სადაც თოკი აქვს შემოხვეული“.²⁴ აღნიშნული ხერხით მოპოვებული აღიარება გამოიყენებოდა დავის გადასაწყვეტად.

ჩვეულებით სამართალში გარეშე მოწმის ინსტიტუტს იშვიათად მიმართავდნენ. ერთი პირის მიერ, მეორის ღიად დადანაშაულებას შესაძლებელია შურისძიების წინაპირობა შეექმნა და ახალი მტრობისთვის ჩაეყარა საფუძველი. შესაბამისად, მოწმის ჩვენებები უფრო მსუბუქი გადაცდომებისას გამოიყენებოდა, როგორც სამართლებრივად ვარგისი მტკიცებულება. მოწმის ჩვენების სანდოობა, მოწმის პიროვნებიდან გამომდინარეობდა. გადამწყვეტი იყო მოწმის

²¹ აბრამიშვილი ლ., „მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები ძველი ქართული სამართლის წიგნების მიხედვით“, (სტატია) სამართლის ჟურნალი, Journal of Law, თბილისი, N1, 2011, 5-20; იხ. <https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Sam%20journ%20N1%202011.pdf> [24.03.2019].

²² დავითაშვილი გ., „სასამართლო მტკიცებულებათა სისტემა ქართულ ჩვეულებით სამართალში“ (სტატია) Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence N1, 2004, 12; იხ. <[file:///C:/Users/user/Downloads/1023%20\(2\).pdf](file:///C:/Users/user/Downloads/1023%20(2).pdf)> [23.03.2019].

²³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 131-ე მუხლი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>> [23.03.2019].

²⁴ გაბისონია ლ., „სამეგრელო საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია“, (ტომი I), მერიდიანი, თბილისი, 2005, 176.

კეთილსინდისიერება.²⁵ ჩვეულებითი სამართალი, ისევე, როგორც მოქმედი კანონმდებლობა, შერჩევითად ეკიდებოდა მოწმის პიროვნებას და მის გონებრივ უნარ-ჩვევებს.²⁶

ლიტერატურაში არსებული ინფორმაციით აშკარაა, რომ ჩვეულებითი სამართალი თანამედროვე სამართლის წინამორბედია, ზოგ შემთხვევაში კი „მამკვიდრებელიც“. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები ემყარება, მხარეთა კეთილსინდისიერებას. თუმცა, საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე, ვალდებულების არსებობასთან ერთად არსებობდა, ვალდებულების დარღვევის საშიშროებაც. საზოგადოების განვითარებამ აუცილებელი გახადა სამართალურ ურთიერთობაში წესრიგის დამცავი რეგულირებების შემოღება.

ჩვეულებითი სამართლის ელემენტებიდან ზოგიერთი მოქმედი კანონმდებლობითაც არის გათვალისწინებული, ხოლო უმრავლესობა მხოლოდ ისტორიას შემორჩა, როგორც სამართლებრივად უვარგისი მტკიცებულებები.

შეიძლება ითქვას, რომ ძველ სამართალში უმთავრესად იმგვარი მტკიცებულებები გამოიყენებოდა, რომლითაც ეჭვმიტანილის ბრალდებულად მიჩნევა გარდაუვალი იყო. ასეთ რეალობაში ნებისმიერ ადამიანს მართებდა იმდენი წინდახედულობა, რომ არათუ ბრალი, არამედ მათ მიმართ ეჭვიც არავის გასჩენოდა, მსგავსად „კეისრის მეუღლისა“, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ დაამტკიცებდა თავის უდანაშაულობას, რადგან მტკიცების ტვირთი ალემატებოდა ადამიანურ შესაძლებლობებს. სამედიცინო თვალსაზრისით ადამიანი მდულარე წყლიდან გავარვარებულ რკინას ვერ ამოიღებდა სხეულის დაზიანების გარეშე, რაც არ უნდა მართალი ყოფილიყო.

²⁵ დავითაშვილი გ., „სასამართლო მტკიცებულებათა სისტემა ქართულ ჩვეულებით სამართალში“ (სტატია) Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence N1, 2004, 15-16; იხ. <[file:///C:/Users/user/Downloads/1023%20\(2\).pdf](file:///C:/Users/user/Downloads/1023%20(2).pdf)>[24.03.2019].

²⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 141-ე მუხლი „ა“ ქვეპუნქტი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[24.03.2019].

ორდალების არსებობა და მისი „საჭიროება“ იმდენად ფესვგამდგარია, რომ ორდალები, არაოფიციალურად თანამედროვე სისხლის სამართალშიც ფართოდ გამოიყენება.

1.2 მტკიცების ტვირთი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და სასამართლო პრაქტიკით

სახელმწიფო თავისი არსიდან გამომდინარე ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და კანონის უზენაესობა, რომელიც დაიცავს საზოგადოებრივ მართლწესრიგს.²⁷ მსოფლიო საზოგადოებამ, ქაოსისა და ანარქიის დაძლევის მიზნით და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, დახვეწა სოციალური ურთიერთობები და შეიმუშავა სამართლებრივი ნორმები, როგორც სოციალური ურთიერთობის ნაირსახეობა.²⁸ რათა ადამიანებმა აღარ მიმართონ თვითანგარიშსწორებას. მოქალაქეები უნდა დაიცვას სახელმწიფომ. ამასთან, თავის მხრივ, სახელმწიფო, ეფექტური განვითარებისათვის, ინდივიდებს უტოვებს თავისუფლებას, მეორის მხრივ კი ავალდებულებს კეთილსინდისიერებასა და გულისხმიერებას ერთმანეთის მიმართ.

„მე იურისტი ვარ, მტკიცებითი საბუთების მოყვარული“,²⁹ ამბობდა იურისტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რითაც ხაზს უსვამდა იმას, რომ მტკიცებულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი საყრდენი ინსტიტუტია. მტკიცებულების არსებობა, მათი მოპოვება, შექმნა და წარდგენა სასამართლოში, თავისთავად გულისხმობს პროცესში მონაწილე მხარეთა შორის უფლებამოსილების გადანაწილებას, თუ ვინ უნდა წარადგინოს მტკიცებულება, ე.ი. ზიდოს

²⁷ ლობჯანიძე გ., „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2009, 73.

²⁸ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 54.

²⁹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), მერიდიანი, თბილისი, 2015, 249.

მტკიცების ტვირთი. თუმცა „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს მტკიცების ტვირთს საკანონმდებლო დონეზე“.³⁰

„თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“.³¹ სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მტკიცების ტვირთს განსაზღვრავს თავად მხარე, იმის მიხედვით თუ, რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე უთითებს და ამყარებს მოთხოვნას ან შესაგებელს. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი გამომდინარეობს იმ მატერიალურსამართლებრივი იმპერატივიდან, რომელსაც ირჩევს მხარე სამართლებრივ საფუძვლად.

„სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მხარეებს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“.³²

მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის ნაწილდება იმისათვის, რომ მხარემ დაამტკიცოს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. მტკიცება კი თავის მხრივ არის საპროცესოსამართლებრივი საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს კანონიდან. მტკიცება თავისთავში მოიაზრებს მტკიცებულებებს, როგორც მტკიცების საშუალებებს. მტკიცებულებები თავისმხრივ ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან და ფაქტობრივ გარემოებებთან, რათა დაადასტურონ მხარისათვის სასურველი

³⁰ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012, 11; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf> [25.03.2019].

³¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.

³² თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2016 წლის 19 სექტემბრის განჩინება, საქმეზე N2/370-16.

მიზეზშედევობრივი კავშირი, ისე რომ სასამართლოსთვის არ დარჩეს ბუნდოვანი საკითხები.³³

მტკიცების ტვირთი აკისრიათ მხარეებს, თუმცა მტკიცების ტვირთის ზიდვა, უფრო ხელსაყრელი და სასურველია მხარისათვის, ვიდრე კანონით დადგენილი იმპერატივი, ვინაიდან მტკიცების ტვირთის არასათანადო ზიდვისთვის საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასჯელს, არამედ მასზეა დამოკიდებული განსახილველი საქმის საბოლოო შედეგი. რუდოლფ ფონ იერინგის მოსაზრებით, „სამართლის ცნება თავის თავში მოიაზრებს ორ სრულიად განსხვავებულ კატეგორიას: ბრძოლასა და მშვიდობას. პირველი წარმოადგენს მეორის მიღწევის შესაძლებლობას და ისინი ერთმანეთისგან განუყოფელნი არიან...“.³⁴ დამტკიცების ტვირთი არის მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებისათვის მხარეებზე განაწილებული საპროცესოსამართლებრივი საქმიანობა, რათა მათ შეძლონ სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევა.³⁵

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის I ნაწილი განსაზღვრავს შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, მხარეებმა თავად უნდა იაქტიურონ, სასურველი შედეგის მისაღწევად, საქმის მომზადების ეტაპიდან. ვინაიდან, საქმის განხილვის მთავარ ეტაპზე მხარეები იზღუდებიან მტკიცებულებათა წარგენაში (სსსკ-ის 206-ე მუხლი),³⁶ დამატებით, რაიმე განსაზღვრულ სანქციას კანონი არ აწესებს.³⁷

³³ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), მერიდიანი, თბილისი, 2015, 251.

³⁴ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012, 11; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>[25.03.2019].

³⁵ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 284.

³⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მე-4 მუხლის I ნაწილი, 206-ე მუხლი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[18.04.2019].

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მტკიცების ტვირთის ზიდვა, არის საპროცესომართლებრივი საქმიანობა, რომლითაც მიიღწევა სასურველი მიზანი - პროცესის მოგება.

„მტკიცებულებათა წარმოდგენის მოვალეობას საძიებელი ფაქტის დასადგენად კანონმდებელი აკისრებს იმ მხარეს, რომლისათვისაც ეს უფრო ადვილი და მოსახერხებელია. ასე მაგალითად, დაამტკიცოს ხელშეკრულებით რაიმე ურთიერთობის წარმოშობის ფაქტი (ვთქვათ, სესხის მიცემის ფაქტი) გაცილებით უფრო ადვილია მოსარჩელისათვის (გამსესხებლისათვის), ვიდრე მოპასუხისათვის. მაგრამ, იმის დამტკიცება, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხემ შეასრულა (ვთქვათ, დაუბრუნა სესხი). უფრო ადვილია თვით მოპასუხისათვის, ვიდრე მოსარჩელისათვის“.³⁸

მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ნაწილი ამყარებს მოსარჩელის სამართლებრივ პოზიციებს, ნაწილი-მოპასუხისას (შესაძლოა მესამე პირების პოზიციებსაც, მათი არსებობის შემთხვევაში). შესაბამისად, მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ისეთი მტკიცებულებები და მტკიცებულებებსა და ფაქტობრივ გარემოებებს შორის გააბან ისეთი ლოგიკური ბმა, რომ დაადასტურონ მათთვის ხელსაყრელი მიზეზშედეგობრივი კავშირი, რომლითაც შეარყევენ მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო მტკიცებულებებსა და სამართლებრივ სტრატეგიას. ამ საპროცესო საქმიანობაში უმნიშვნელოვანესია მტკიცებულებითი ფაქტების დადგენა, დადასტურება. მათი მეშვეობით გამოიკვეთება, არსებული ფაქტობრივი გარემოებები, ეს ფაქტები მტკიცებულებითი ფაქტებია ე.ი. მტკიცებულებები.³⁹

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად სტანდარტს, რომლითაც მხარემ უნდა ამტკიცოს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს, რომ განისაზღვროს მოთხოვნის სათანადო ადრესატი,

³⁸ ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თილისი, 2005, 231.

³⁹ იქვე, 267.

მოთხოვნის საფუძვლიანობა და კანონიერება. ამის შემდეგ კი მნიშვნელოვანია საქმის სფეციფიკის შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა. ყოველი კონკრეტული სფეციფიკის საქმე განსხვავებულად ანაწილებს მტკიცების ტვირთს მაგალითად: ვალდებულების დარღვევის არაბრალეულობაში, „*მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს*“.⁴⁰ მოვალე ასევე „*პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების შემთხვევაშიც*“.⁴¹

ნათელია, რომ მხარემ, ყველა შესაძლო კანონიერი გზით, უნდა ამტკიცოს მისი სამართლებრივი პოზიციის უპირატესობა პროცესუალური მოწინააღმდეგის პოზიციაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატა, განამტკიცებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეგულირებას და განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც მიუთითებს ფაქტობრივ გარემოებაზე. მოსარჩელემ და მოპასუხემ უნდა ამტკიცონ მათ მიერ მითითებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები.⁴²

სამოქალაქო პროცესში, მონაწილე მხარეებზე მტკიცების ტვირთის გადანაწილებით, მხარეები თავისუფლდებიან, ფუჭი და ორმაგი შრომისაგან. ამგვარი დანაწილებით ერთი მხარე თავისუფლდება მეორე მხარის სამტკიცებელი გარემოებების დამტკიცების აუცილებლობისაგან.⁴³ შესაბამისად, თუ მხარემ ეფექტურად ზიდა მტკიცების ტვირთი, მტკიცების ტვირთი შებრუნდება და მტკიცება მოუწევს მოწინააღმდეგე მხარეს.⁴⁴ სამოქალაქო პროცესში სადავო ფაქტობრივი გარემოებების ნაწილი უნდა დაამტკიცოს

⁴⁰ თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., „განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი“, GIZ, 2012, 291.

⁴¹ იქვე.

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.

⁴³ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 287.

⁴⁴ ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში (მოხსენება) მთარგმნელი მესხიძე ი., (GIZ), N7(2018), 26; იხ. <http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-Research-Onus_of_Proof.pdf>[23.03.2019].

მოსარჩელემ, ხოლო მოსარჩელის მიერ დამტკიცებული გარემოებები უნდა გააბათილოს მოპასუხემ. მხარეებმა ამ მიზანს უნდა მიაღწიონ განსაზღვრული მტკიცებულებების წარდგენით, ყოველი საქმის თავისებურების გათვალისწინებით.

„სასამართლო გადაწყვეტილებაზე, ასევე აისახება მტკიცების ტვირთის შეზღუდვის შედეგები, გამომდინარე იქიდან, რომ როდესაც იმ მხარის განმარტება, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი გაქარწყლებულია, სახეზეა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მხარემ ვერ დაადასტურა მის მიერ მითითებული გარემოებები სარწმუნო მტკიცებულებებით“.⁴⁵

„იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე“.⁴⁶

მტკიცების ტვირთთან მიმართებით განსხვავებული მიდგომაა მედიაციის (არასასამართლო) პროცესში. თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტებს შორის გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მედიატორს არათუ მტკიცებულებები, არამედ მხარეთა პოზიციებიც კი არ უნდა წარედგინოთ წინასწარ წერილობითი ფორმით, რათა არ „შესუსტდეს მედიატორის კრეატიულობა“.⁴⁷

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით მოსარჩელემ, მის მიერ, აღძრულ სარჩელში უნდა მიუთითოს საქმის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითოს და წარმოადგინოს

⁴⁵ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012, 19; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>[21.04.2019].

⁴⁶ იქვე, 87.

⁴⁷ ცერცვაძე გ., „მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“, (ზოგადი მიმოხილვა), მერიდიანი, თბილისი, 2010, 335.

შესაბამისი მტკიცებულებები. სამართლებრივი საფუძვლის შეფარდება კი სასამართლოს პრეროგატივაა.⁴⁸

სამოქალაქო სამართალურთიერთობები სამართლებრივი სიკეთეების ურთიერთგაცვლით ვითარდება. სახელშეკრულებო სამართალი კი „წარმოადგენს სისხლძარღვთა სისტემას, რომლის მეშვეობითაც სამოქალაქო სამართლებრივ ორგანიზმში მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა“⁴⁹ ე.ი. ქონებრივი გადაადგილებები. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალურთიერთობისათვის დამახასიათებელია მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულება. არც თუ ისე იშვიათად მხარეთა კეთილსინდისიერების იმედი უშედეგოა. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო სასამართლოს მეშვეობით ეხმარება ინდივიდს თავისი უფლებების დაცვასა და რეალიზებაში. ამ პროცესში პრინციპულად მნიშვნელოვანია თავად მხარის ჩართულობა. მხარე, სასამართლო პროცესში, უნდა ჩაერთოს ყოველმხრივ, როგორც სასამართლოსთვის მიმართვით, ასევე მის ხელთ არსებული მტკიცებულებების წარდგენით ან მტკიცებულებების არსებობაზე მითითებით. მტკიცებულებებს უდიდესი როლი აკისრია მართლმსაჯულების განხორციელებაში.

სახელშეკრულებო სამართალი, ხშირად, ხდება სახელშეკრულებო დავების წარმოშობის მიზეზი. სახელშეკრულებო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, უნდა დადგინდეს ხელშეკრულების არსებობის ფაქტი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების ფარგლები, ვადამოსული ვალდებულებები და მისი დარღვევა. თუ სარჩელით მოთხოვნილია ხელშეკრულების პირობის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, უნდა დადასტურდეს ზიანის არსებობა, მისი მოცულობა, ზიანის გამომწვევი პირის ვინაობა და მიზეზშედეგობრივი კავშირი ზიანის გამომწვევი

⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.

⁴⁹ ბიჭია მ., „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, (დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული გამოცემა), ბონა კაუზა, თბილისი, 2018, 24.

პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ზიანის გამომწვევი პირის ბრალეულობა.⁵⁰

*„ბრალი არის ნებაუნარიანი პირის მიერ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა სხვა პირისათვის უარყოფითი შედეგის დადგომის გაცნობიერებითა და სურვილით ან სურვილის გარეშე სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინებისა და წინდახედულობის დაუცველად“.*⁵¹

აქედან გამომდინარეობს სამტკიცებელი გარემოების წრეც. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, გვიჩვენებს, რომ სასამართლოსთვის სრულფასოვანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად მხარეთა მიერ საჭირო მტკიცებულებების წარდგენა და მათი სათანადო გამოკვლევა, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა სამართლებრივი საკითხები.⁵²

სამართლებრივი შედეგი პირდაპირაა დამოკიდებული მხარის მიერ მტკიცების ტვირთის ზიდვაზე. შესაბამისად, მხარე, რაც უფრო მყარ და სანდო მტკიცებულებებს წარუგენს სასამართლოს, მით უფრო მეტად გაამყარებს საკუთარ პოზიციებს, რაც აისახება საბოლოო შედეგზე.⁵³

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით შეგვიადრია დავასკვნათ, რომ მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის შესასუსტებლად საკმარისია მის მტკიცებულებებში საფუძვლიანი ეჭვის შეტანა. უზენაესი სასამართლოს არაერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში საუბარია, იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქმის განხილვისას სასამართლომ განსაზღვროს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისგან და რის საფუძველზე. ამ განსაზღვრებაში

⁵⁰ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 259.

⁵¹ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., „სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა“, მერიდიანი, თბილისი, 2016, 278.

⁵² ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში (მოხსენება) მთარგმნელი მესხიძე ი., (GIZ), N7(2018), 18; იხ. <http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-Research-Onus_of_Proof.pdf> [23.03.2019].

⁵³ იქვე, 22.

საგულისხმოა, „რის საფუძველზე“ ე.ი. რომელი ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე. ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, არ არსებობა კი დამოკიდებულია მტკიცებულებებზე, რომლებიც თავად მხარეებმა წარადგინეს ანდა მიუთითეს. მიუხედავად სამოქალაქო დავების თავისებურებებისა, ყოველ განსახილველ საქმეზე, აუცილებელ მტკიცებულებებს აქვთ საერთო მნიშვნელოვანი ფუნქცია - დაადასტურონ მიზეზშედეგობრივი კავშირი მომხდარ ფაქტსა და მოწინააღმდეგე მხარის ქმედებას შორის.

„ფაქტების მითითების ტვირთი და ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთი შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს“.⁵⁴

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატა განმარტავს, რომ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცების ტვირთს შორის არსებობს ურთიერთმფარავი კავშირი. მტკიცების ტვირთის განსასაზღვრად აუცილებელია ამ ურთიერთმფარავი კავშირის გამიჯვნა. მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, უნდა განისაზღვროს მტკიცების საგანი ე.ი. უნდა განისაზღვროს სამტკიცებელი ფაქტობრივი გარემოებები. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის ზიდვა გამომდინარეობს მტკიცების საგნიდან. ასევე, უმნიშვნელოვანესია მტკიცების ტვირთის განაწილება, რომლიდანაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს დავის გადაწყვეტის შედეგი. ფაქტების მითითება და მტკიცების ტვირთი, სხვადასხვა პროცესუალურსამართლებრივი მნიშვნელობის ქმედებაა, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს მტკიცების ტვირთის შებრუნებას.⁵⁵

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეების მიერ მტკიცებულებათა მოპოვება, შეგროვება, შემოწმება და შეფასება ხდება მხარეებისა და სასამართლოს მიერ, კანონით განაწილებული თანაფარდობით. ამ საქმიანობის მიზანი საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენაა, მართლმსაჯულების სრულფასოვნად განხორციელებისათვის, რასაც

⁵⁴ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, (მეორე გამამუშავებული და შესწორებული გამოცემა), სამართალი, თბილისი, 2007, 203.

⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.

სასამართლო (საპროცესო) მტკიცება ეწოდება.⁵⁶ „მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისთვის გამოყენებულ მტკიცებულებებს სასამართლო მტკიცებულებებს უწოდებენ“.⁵⁷

მხარეთა მიერ სასამართლოსთვის წარდგენილ მტკიცებულებებს აფასებს სასამართლო თავისი შინაგარი რწმენით. საქართველოს კანონმდებლობითა და დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრებით, „შინაგანი რწმენა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედებისაგან, წარმოადგენს სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა შეფასების ერთადერთ კრიტერიუმს.“⁵⁸ მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმს კი წარმოადგენს, თუმცა აქ სადავოა სიტყვები „თავისუფალია ყოველგვარი გარეგანი ზემოქმედებისაგან“; გაჟღერებული სიტყვები სრულად და ჭეშმარიტად მიესადაგება მაგალითად, საოჯახო, სამეზობლო და მსგავსი ტიპის დავებს, თუმცა საქმეებზე სადაც მხარე პირდაპირ თუ ირიბად სახელმწიფოა, საფინანსო ორგანიზაციაა და სხვა. სასამართლო, უმეტეს შემთხვევაში, ვერ გადის დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და მიუკერძოებლობის და ვერც სამართლიანობის - ტესტს. რაღა თქმა უნდა არიან სამაგალითო მოსამართლეები, რომლებიც ცდილობენ სამართლიანობის იდეების გატარებას, თუმცა მათი რიცხოვნობა, სამწუხაროდ ფონს ვერ ქმნის და უკეთესის იმედს გვიტოვებს.

სასამართლოში საქმის განსახილველად მომზადებისას კონკრეტულად უნდა განისაზღვროს მთავარი სადავო და დასადგენი ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად მტკიცების საგანი. მიუხედავად შეჯიბრებითობის პრინციპისა, იმ შემთხვევებში, როცა სარჩელი თუ შესაგებელი ხარვეზიანია, სასამართლო მხარეთათვის კითხვების მიცემით აზუსტებს მტკიცების საგანს. უფრო მეტიც, საჭიროების არსებობისას, სასამართლო მონაწილეობს აუცილებელი მტკიცებულებების გამოვლენაში, მტკიცებულებების საკმარისობის შეფასებაში.

⁵⁶ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 262.

⁵⁷ იქვე, 298.

⁵⁸ იქვე, 305.

სასამართლომ ასევე შესაძლოა გადაანაწილოს მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის.⁵⁹

მტკიცების ტვირთი, არის მხარეთა შესასრულებელი სამართლებრივი ქმედებები, რომელიც ამომძრავებს თემიდას სასწორს. შეგნებულად არ ვამბობ - „პროცესუალურსამართლებრივ ქმედებებს“. პრაქტიკაში, ხშირად, ადვოკატი/იურისტი, საქმეში ერთვება საქმის სასამართლოსთვის გადაცემამდე. შესაბამისად მხარეს, შეუძლია შექმნას მტკიცებულებები, რომლებიც მისთვის იქნება სასარგებლო. იმისათვის, რომ მხარემ ეფექტურად ზიდოს მტკიცების ტვირთი, საკმარისი იქნება მინიმალური სტანდარტის დაცვა, რაც ციფრობრივად რომ გამოვსახოთ იქნება 50.1%. ეს საკმარისი იქნება იმისათვის, რომ თემიდას სასწორი, ჩვენს სასარგებლოდ გადოიხაროს და მოსამართლემ ჩვენთვის სასურველი გადაწყვეტილება მიიღოს.

1.3 მტკიცების ცნება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს მტკიცებულებათა კატეგორიებს, კერძოდ, „თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით“.⁶⁰

გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, მტკიცებულებათა განსაზღვრის ნაწილში დიდად არ განსხვავდება საქართველოს კანონმდებლობისგან. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია მტკიცებულებათა ხუთი სახე, კერძოდ:

⁵⁹ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 312.

⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 102-ე მუხლი II ნაწილი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[09.04.2019].

„დათვალიერება, დოკუმენტური მტკიცებულება, მოწმის ჩვენება, ექსპერტიზის დასკვნა და მხარეთა ახსნა-განმარტება“.⁶¹

მითითებული მტკიცებულებებიდან დიდი განსხვავება არ არის არც რუსეთის ფედერაციაში, რომლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მტკიცებულებები შეიძლება იყოს კანონმდებლობით მოპოვებული ცნობები ფაქტების შესახებ. სასამართლო ადგენს ფაქტების არსებობა-არ არსებობას, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნები. ცნობების მიღება შესაძლებელია მხარეთა ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით, აუდიო და ვიოდეო ჩანაწერებით, ექსპერტთა დასკვნებით. კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები არ განიხილება.⁶²

შესამჩნევად განსხვავებულია ინგლისისა და აშშ-ს საკანონმდებლობლო მიდგომა მტკიცების ტვირთის ზიდვასთან დაკავშირებით. ინგლისელ იურისტთა მოსაზრებით, *„მართლმსაჯულების მიერ შექმნილი დაუწერელი სამართლის უზენაესობა თავად ინგლისელი მოსამართლის სულშია ღრმად ჩაბეჭდილი“.⁶³*

ინგლისურ სამართალში *„მტკიცების პროცესი საუკუნეების მანძილზე დაგროვებული მდიდარი სასამართლო პრაქტიკითაა ჩამოყალიბებული“.⁶⁴*

ინგლისის სამართალი მტკიცებულებად უშვებს ნებისმიერ მასალას, რაც მოსამართლის შინაგან რწმენას შეუქმნის. თუმცა, მიჯნავს მტკიცებულებასა და მტკიცებულების მატარებელს.⁶⁵ ინგლისის სამართლის მიხედვით,

⁶¹ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012, 63; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>[09.04.2019].

⁶² Мартынова М.Н., “Судебные доказательства в гражданском процессе”, (Рецензент: Юргель О.Н.), Нижегородский Государственный Университет им. Н.И. Лобачевского, Г. Нижний Новгород 2008, 1; იხ. <<https://works.doklad.ru/view/XTIYS9umVRA.html>>[25.04.2019].

⁶³ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012,64; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>[09.04.2019].

⁶⁴ ამილახვარი თ. „მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში“ სტატიათა კრებული, „მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები“, (რედ. ნუნუ კვანტალიანი), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 1.

⁶⁵ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012,64; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>[09.04.2019].

მტკიცებულებაა ყველაფერი რაც რაიმე ინფორმაციას შეიცავს. ხოლო მტკიცებულების მატარებელია მტკიცებულებათა ნაირსახეობები, მაგალითად: დოკუმენტი, მოწმე, ნივთმტკიცება და სხვ. შეიძლება ითქვას მტკიცებულების მატარებელია მტკიცებულების არსებობის მტკიცებულება. მტკიცებულებები შეიძლება იყოს: წერილობითი დოკუმენტების შინაარსი, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტიზა, ჩვენება სხვისი სიტყვებით, აფიდევიტი.⁶⁶ ინგლისურ ჩვეულებათა მიხედვით, არსებობს მტკიცებულების უჩვეული სახეობაც, კერძოდ: *„მოსამართლეს დავის გადაწყვეტისას, ასევე, შეუძლია პირთა რეკუტაცია, ოჯახის ტრადიციები მიიღოს მხედველობაში“*.⁶⁷

ერთმანეთისაგან განსხვავდება საჯარო მტკიცებულება და კერძო მტკიცებულება. საჯარო მტკიცებულებებია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, მაგალითად: ქორწინების, გარდაცვალების, დაბადების მოწმობები და სასამართლო გადაწყვეტილებები (პროტოკოლები), მორიგებები, სამეფო გრანტები და სხვა. მტკიცებულებათა ამავე კლასს განეკუთვნება ერთგვარად საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, რომლებიც შესაძლოა ასახული იყოს ისტორიულ, სამეცნიერო ნაშრომებში, ლექსიკონებსა და სხვა საჯარო პუბლიკაციებში. ხოლო, კერძო მტკიცებულებებია, მტკიცებულებები, რომლებიც შეიქმნა მხარეთა შორის ურთიერთობაში, მაგალითად, სოციალურ ქსელში პირადი მიმოწერა.⁶⁸

ინგლისური სამართალი წერილობით მტკიცებულებებში, გარდა, ზოგადი სახის, წერილობითი მტკიცებულებებისა, მოიაზრებს, აგრეთვე, იეროგლიფს, ციფრს,

⁶⁶ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012, 64-65; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>[09.04.2019].

⁶⁷ ამილახვარი თ. „მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში“ სტატიათა კრებული, „მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები“, (რედ. ნუნუ კვანტალიანი), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 3.

⁶⁸ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012, 65; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>[09.04.2019].

ინფორმაციას, რომელიც აღიბეჭდა ფოტოსურათზე, რუკაზე, სქემაზე, კინოფირებზე და სხვა.⁶⁹

ინგლისური სამართალი ნივთმტკიცებად მიიჩნევს ყველა იმ ნივთს, რომელიც არსებობს მატერიალურად და შეიცავს ინფორმაციას. ნივთმტკიცება შეიძლება, ასევე, იყოს ისეთი მტკიცებულება, „რომელიც აღიქმება არა მხოლოდ გარეგნული დათვალიერებით, არამედ ხმით (როდესაც მტკიცებულების წყაროა მუსიკალური ინსტრუმენტი), შეხებით, ყნოსვით“.⁷⁰

მოწმეთა მიერ გაცემული ჩვენებები, განიხილება, როგორც ზეპირი მტკიცებულებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით ინგლისური კანონმდებლობა მოწმეებს არ მიჯნავს ასაკობრივ კატეგორიებად და არც ჩვენების მიცემაში ზღუდავს ასაკის გამო. „მთავარია, მათ შეეძლოთ ფიცის არსისა და მნიშვნელობის გააზრება ჰქონდეთ კომპეტენცია, ანუ უნარი აღიქვან მოვლენა და დაიმახსოვრონ იგი“.⁷¹

„აფიდევითი ნებაყოფლობითი, წერილობითი, ფიცით დადასტურებული ჩვენებაა, რომელიც შეიცავს პირის, ანუ დეპონენტის განცხადებას ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით და დამოწმებულია იმ პირის მიერ, რომელსაც კანონის მიხედვით შესაბამისი უფლებამოსილება აქვს. ასეთებად მიჩნეულია ნოტარიუსი და სხვა მსგავსი ინსტიტუტები“.⁷²

ინგლისურ სამართალში მოწმის ჩვენება უფრო სანდო მტკიცებულებაა, ვიდრე ქართულ სამართალში. ინგლისის კანონმდებლობა უშვებს მტკიცებულების ისეთ სახეობას, როგორცაა „სხვისი სიტყვებით ჩვენება“. რაც, გულისხმობს ერთგვარ მტკიცებულების მტკიცებულებას, მაგალითად, მოწმემ ჩვენებაში უნდა ისაუბროს სხვა პირის მიერ გაჟღერებულ განცხადებაზე. „ჩვენება სხვისი

⁶⁹ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012, 65; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf> [09.04.2019].

⁷⁰ იქვე, 66-67.

⁷¹ იქვე, 65.

⁷² ამილახვარი თ. „მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში“ სტატიათა კრებული, „მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები“, (რედ. ნუნუ კვანტალიანი), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 4.

სიტყვებით“, ნაწარმოები მტკიცებულებაა. მას სასამართლოში წარმოაჩენს არა მტკიცებულების პირველწყარო, არამედ მესამე პირი. ასევე, ყურადსაღებია, რომ მტკიცებულების ამ ფორმაზე, გავლენა არ აქვს იმ გარემოებას, მოწმე საუბრობს სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, თუ სხვა პირზე, რომელმაც ისაუბრა მესამე პირზე, რომელიც ყვებოდა, როგორ გაიგო პირველწყაროსგან საკვლევი ინფორმაცია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ჩვენება სხვისი სიტყვებით“ შეიძლება დაუსრულებლად იქნას ნაწარმოები უამრავი თვითმხილველის მიერ და სასამართლოში წარმოდგენილ მოწმეს პირველწყაროსთან არანაირი შემხებლობა არ ჰქონდეს. გარდა ამისა, შესაძლოა პირველწყარო იყოს დოკუმენტი ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც სასამართლოში წარმოდგენილი არ არის.⁷³

„ჩვენება სხვისი სიტყვებით“, არის მტკიცებულება, რომელიც მთლიანად ეყრდნობა მგრძნობელობით შთაბეჭდილებებს და გადმოსცემს მოვლენას ან მდგომარეობას, რომელიც გაკეთდა მოვლენის დროს ან მცირე დროის გასვლის შემდეგ. დეკლარანტი ასეთ განაცხადს აკეთებს გადმოცემული მოვლენის შფოთვით ან სტრესის პირობებში. ჩვენება სხვისი სიტყვებით არის დეკლარანტის აღფრთოვანებული აზრი.⁷⁴ მტკიცებულების ეს სახეობა ხაზს უსვამს მომხდარის, უშუალოდ შემსწრე პირის სასამართლო პროცესზე დაკითხვის მნიშვნელობას, რათა მხარეთა და სასამართლოს შეკითხვებით, დაზუსტდეს განსახილველი საქმის მნიშვნელოვანი საკითხები.

მტკიცებულება „სხვისი სიტყვებით ჩვენება“, გამოიყენება მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. ამ ტიპის მტკიცებულებად მიიჩნევა მხოლოდ პირის ის განცხადებები, რომლებიც არ გაჟღერებულა საქმის განხილვისას და შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელშიც უნდა დარწმუნდეს სასამართლო. „სხვისი სიტყვებით ჩვენება“ შესაძლოა იყოს, როგორც ზეპირი ისე წერილობითი, ასევე სხვა პირის მიერ გაკეთებული განცხადებები, როგორც საჯარო დოკუმენტებში, ასევე კერძო ტიპის მტკიცებულებებში. ჩვენება სხვისი

⁷³ იქვე, 66.

⁷⁴ Hearsay Evidence, Most Common Hearsay Exceptions; იხ. <<https://criminal.findlaw.com/criminal-procedure/hearsay-evidence.html>> [01.05.2019].

სიტყვებით არ გულისხმობს განცხადებას საკუთარი თავის საზიანოდ. რაიმე მოვლენაზე საუბრისას განცხადება გაკეთებული უნდა იყოს მოვლენის პროცესში ან მისი დასრულებისთანავე, ე.ი. ძლიერი სულიერი აღელვების, ემოციების ფონზე. „ჩვენება სხვისი სიტყვებით“, თავის მხრივ შეიცავს წინაპირობებს, როდესაც მოწმეს შეუძლია თავი შეიკავოს ახსნა-განმარტებისგან. კერძოდ: როდესაც ჩვენების მიცემაზე უარის თქმის პრივილეგიას კანონი განაპირობებს, თავად აცხადებს უარს, მეხსიერების დაკარგვის საფუძველზე, გაურკვეველია მისი ადგილსამყოფელი. ამ შემთხვევებში გამოიყენება ნაწარმოები მტკიცებულებები.⁷⁵

არსებობს მოსაზრება, რომ, „ამერიკის შეერთებული შტატები შეჯიბრებითობის პრინციპის სამშობლოდ ითვლება“.⁷⁶ თუმცა, როგორც ძველი ხალხების სამართლიდან ირკვევა, დაწყებული რომის სამართლით, დასრულებული ქართული ჩვეულებითი სამართლით, აშკარაა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი, მსოფლიო სამართალში, უფრო ძველია, ვიდრე თვით ამერიკის შეერთებული შტატები, შესაბამისად აშშ შეჯიბრებითობის პრინციპის სამშობლო ვერ იქნება. თუმცა, მართალია, რომ აშშ-ს დიდმა ეკონომიკურმა შესაძლებლობებმა, იურისტების მაღალშემოსავლიანობამ და პრესტიჟმა განაპირობა მათ მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის ახალ საფეხურზე აყვანა.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო სამართალი შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციურობის პრინციპების ჰიბრიდს წარმოადგენს. რ/ფ-ის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლ ნაწილით, მხარეებმა უნდა დაამტკიცონ ის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ და ამყარებენ მოთხოვნებს.⁷⁷ სასამართლო არ არის უფლებამოსილი მხარე გაათავისუფლოს იმ გარემოების მტკიცების

⁷⁵ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012, 68-70; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>[09.04.2019].

⁷⁶ ამილახვარი თ. „მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში“ სტატიათა კრებული, „მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები“, (რედ. ნუნუ კვანტალიანი), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 13.

⁷⁷ "Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации" от 14.11.2002 N 138-ФЗ (ред. от 27.12.2018) (с изм. и доп., вступ. в силу с 28.12.2018); იხ. <http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_39570/86dec005acc612a11374dc5a7e98523965f7e9b2/>[24.04.2019].

ტვირთისგან, რომელსაც ეყრდნობა იგი. ასევე, არ შეუძლია თანაბრად გადაანაწილოს მხარეებზე მტკიცების ტვირთის მოცულობა.

რ/ფ-ის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი განამტკიცებს სასამართლოს ინკვიზიციურობას. მოსამართლე არ უნდა იყოს, მხოლოდ, დამკვირვებელი პასიურ როლში. სასამართლო ვალდებულია მთლიანად თავისთავზე აიღოს ინიციატივა და შეუძლია განიხილოს ის საკითხებიც, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ.⁷⁸

რ/ფ-ში, ერთ-ერთ დავაზე N 4-КГ17-28, (06.06.2017). მოსარჩელე ითხოვდა, რომ მის მიერ აღებული სამომხმარებლო სესხი მიჩნეულიყო, როგორც მისი და მისი მეუღლის საერთო ვალდებულება, იმ დასაბუთებით, რომ სესხით შეიძინეს საყოფაცხოვრებო ტექნიკა. სასამართლომ 56-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, თავისი ინიციატივით, გამოიკვლია გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ და დაადგინა, რომ სამომხმარებლო სესხის საერთო სესხად მიჩნევა დაუშვებელია.⁷⁹

რ/ფ-ის სასამართლო, მტკიცებულებებს ამოწმებს სამ ეტაპად, კერძოდ: მიზეზშედეგობრი კავშირი (განკუთვნადობა), მტკიცებულების ფორმირების წყარო და მტკიცებულების ფორმირების პროცესი.⁸⁰

⁷⁸ Гув А.Н. Постатейный комментарий к Гражданскому процессуальному Кодексу Российской Федерации; об. <<https://kommentarii.org/gpk/page64.html>>[25.04.2019].

⁷⁹ ЗАКОНЫ, КОДЕКСЫ И НОРМАТИВНО-ПРАВОВЫЕ АКТЫ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ, „Судебная практика и законодательство — ГПК РФ. Статья 56. Обязанность доказывания“, Определение Верховного Суда РФ от 06.06.2017 N 71-КГ17-5; об. <<http://legalacts.ru/kodeks/GPK-RF/razdel-i/glava-6/statja-56/>>[24.04.2019].

⁸⁰ Мартынова М.Н., „Судебные доказательства в гражданском процессе“, (Рецензент: Юргель О.Н.), Нижегородский Государственный Университет им. Н.И. Лобачевского, Г. Нижний Новгород 2008, 2; об. <<https://works.doklad.ru/view/XTIYS9umVRA.html>>[25.04.2019].

თავი II. მტკიცების საშუალებები (მტკიცებულებები)

2.1 მტკიცებულებათა სახეები

პროცესის მოგებისთვის აუცილებელია მხარეებმა დაამტკიცონ თავისი პოზიციის უპირატესობა, პროცესულური მოწინააღმდეგის პოზიციაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალით, მტკიცების პროცესი მოიაზრებს სასამართლოს საქიანობასაც, რომლითაც სასამართლოს ექმნება შინაგანი რწმენა. თუმცა, სასამართლო არ არის მტკიცების ტვირთის მატარებელი სუბიექტი. მართლმსაჯულების სრულფასოვანი განხორციელებისათვის აუცილებელია სადავო საკითხზე ჭეშმარიტების დადგენა. ამის მიღწევა კი შესაძლებელია საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძვლიანი გამოკვლევით. მტკიცებულებების სრულფასოვანი გამოკვლევისათვის აუცილებელია მტკიცებულებათა თავისებურებების გათვალისწინება.

*„პროცესუალური გაგებით მტკიცება შეიძლება იყოს ორი სახის, კერძოდ, მკაცრი მტკიცება (Strengbeweis) და თავისუფალი მტკიცება (Freibeweis)“.*⁸¹ მტკიცების მკაცრი სტილი, გამომდინარეობს კანონმდებლობის იმპერატივიდან და მტკიცებულებაზე თავად კანონმდებლობა მიუთითებს. თავისუფალი მტკიცებით კი, მხარე თავისუფლდება საკანონმდებლო შეზღუდვისაგან და შეუძლია თავისუფლად განსაზღვროს მტკიცების ფორმა და საშუალება, ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი,⁸² ყველაფერი დაშვებულია, რაც აკრძალული არ არის.

სასამართლო მტკიცებულებათა ნაირსახეობას წარმოადგენენ ფაქტები, რომელებიც დამტკიცებას არ საჭიროებენ. მაგალითად: საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, რომელიც შესაძლოა ცნობილი იყოს, არა მხოლოდ მსოფლიო დონეზე, არამედ ადგილობრივ, რაიონულ დონეზე. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი შეიძლება, ასევე, იყოს ხდომილება. *„ხდომილება არის ისეთი იურიდიული*

⁸¹ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 264.

⁸² იქვე.

ფაქტი, რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ნებაზე (ელვისგან ხანძარი,..)”.⁸³

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთი საქმის განხილვისას იმსჯელა პრეიუდიციულ ფაქტებზე და დაადგინა, რომ პრეიუდიციული ფაქტები ისეთი ფაქტობრივი გარემოებებია, რომლებითაც განისაზღვრა მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, რაზე დაყრდნობითაც მიღებულია და კანონიერ ძალაშია შესული სასამართლო გადაწყვეტილება. შესაბამისად, მხარეს აღარ უწევს ამ გარემოებების მტკიცება. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების პრეიუდიციისათვის, აუცილებელია გადაწყვეტილება იყოს კანონიერ ძალაში შესული და მის განხილვაში იგივე მხარეები მონაწილეობდნენ.⁸⁴ ფაქტების პრეიუდიციისათვის მოწმდება ფორმალური გამართულობა, მატერიალური იმპერატივები და ფაქტობრივი გარემოებების შინაარსი. პრეიუდიციული ფაქტების დადგენის შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან ამ გარემოებების მტკიცების ტვირთისგან.⁸⁵

სამოქალაქო სამართალწარმოების მტკიცებულების მნიშვნელოვან ნაირსახეობას წარმოადგენს პრეზუმფცია ე.ი. ვარაუდი. პრეზუმფციებთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდმა პალატამ განსაზღვრა, რომ *„პრეზუმირებული ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომელთა გაქარწყლების ტვირთი მოპასუხეს აწევს“.*⁸⁶ მაგალითად, ბანკმა უჩივლა მსესხებელს, სესხად გაცემული თანხის, პროცენტისა და ჯარიმის დაკისრების მოთხოვნით. ბანკის მიერ აღძრულ სარჩელს მტკიცებულებად ერთვის საკრედიტო ხელშეკრულება, ბანკის მიერ სესხად გაცემული თანხის მსესხებლის ანგარიშზე გადარიცხვის საბანკო ამონაწერი (საუკეთესო შემთხვევაში) და ცნობა

⁸³ ლობჯანიძე გ., „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2009, 359.

⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1230-2018.

⁸⁵ ახალაძე მ., „მტკიცების ტვირთი“, (2015-2017 წლის I ნახევარი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2018, 14-15; იხ. <<http://www.library.court.ge/upload/mtkicebistvirt.pdf>>[26.04.2019].

⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.

დავალიანების შესახებ. ამ შემთხვევაში ჩნდება ვარაუდი, რომ მსესხებელს ბანკის მიმართ აქვს შესასრულებელი ვალდებულება. შესაბამისად, მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ: სესხი დაფარულია ან ნაწილობრივ დაფარულია, სესხი არ მიუღია ანდა სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია.

პრეზუმფციებს, შიცავს მატერიალური იმპერატივებიც. ე.წ. კანონისმიერი ვარაუდი (praesumptio juris). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლი პრეზუმფციაა კერძოდ, ნივთის მფლობელმა უნდა დაამტკიცოს მფლობელობასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები და არა საკუთრების უფლების ფაქტობრივი გარემოებები. *„პრეზუმფციის უარყოფა უნდა მოხდეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი მტკიცებულებების საფუძველზე“*.⁸⁷

პრეზუმფციები ფაქტებია, რომლებიც ლოგიკური ჯაჭვით ივარაუდებიან. პრეზუმფცია-ვარაუდია და არსებობს იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. ამ დაშვების წინაპირობა, ცხოვრებისეული პროცესების ურთიერთდაკავშირებული განმეორებადობაა, მოვლენების ჯაჭვური კავშირი, რომელიც შეინიშნება ადამიანის ემპირიული დაკვირვებებით. ეს ურთიერთკავშირი გონივრული, ლოგიკური და მყარია. ამგვარი ვარაუდი წარმოაჩენს ობიექტური რეალობიდან გამომდინარე ლოგიკურ სინამდვილეს და განსაზღვრავს მოვლენების შესაძლო განვითარების, დაშვების ზოგად კანონზომიერებებს, რომელიც გამომდინარეობს სამყაროსა და მოვლენების შესახებ არსებული ზოგადი ცოდნიდან.⁸⁸

პრეზუმფცია (ვარაუდი), კონსტიტუციური დაშვებაა. საქართველოს ძველი კონსტიტუციის მე-40 მხულის I ქვეპუნქტის თანახმად *„ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი*

⁸⁷ თოთლაძე ლ., „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თბილისი, 2018, 51.

⁸⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე N 28/771-12.

განაჩენით“.⁸⁹ მოქმედი კონსტიტუციის 31-ე V ქვეპუნქტით „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“.⁹⁰ მოყვანილი კონსტიტუციური დათქმით დადგენილია, უდანაშაულობის პრეზუმფცია, საიდანაც გამომდინარეობს მოქმედი კონსტიტუციის 31-ე მუხლის VI ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც „არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს“.⁹¹ პრეზუმფციიდან გამომდინარეობს მტკიცების ტვირთის განაწილება, კერძოდ, „მტკიცება ესაჭიროება მას, ვინც სხვას რაიმეს აბრალეებს“.⁹²

მტკიცებულებებისა და მტკიცების საშუალებების კლასიფიკაცია მოცემულია საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსში. მტკიცებულებებია: მხარეთა ახსნა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, ექსპერტის დასკვნა, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები.⁹³

მტკიცებულებები, არის: პირდაპირი ან არაპირდაპირი-ირიბი. პირდაპირი მტკიცებულება, როგორც წესი სადავო საკითხის გასაღებია. პირდაპირი მტკიცებულების არსებობისას სხვა მტკიცებულებები ძალას კარგავს. არაპირდაპირი - ირიბი, მტკიცებულება, არასაკმარისი მტკიცებულებაა. ირიბი მტკიცებულება ქმნის ვარაუდს, რისთვისაც აუცილებელია ირიბი მტკიცებულება ლოგიკურად დაუკავშირდეს სხვა ირიბ მტკიცებულებებს. მაგალითად, ქონებრივი დავისას პირდაპირი, გასაღები, მტკიცებულება იქნება, ამონაწერი

⁸⁹ საქართველოს კონსტიტუცია (2015 წლის 08 თებერვლის მდგომარეობით), იურისტების სამყარო, თბილისი, 2015, 21.

⁹⁰ საქართველოს კონსტიტუცია, 31- ე მუხლი V ქვეპუნქტი;

იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>>[05.04.2019].

⁹¹ იქვე, 31- ე მუხლი VI ქვეპუნქტი.

⁹² ამილახვარი თ. „მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში“ სტატიათა კრებული, „მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები“, (რედ. ნუნუ კვანტალიანი), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 1.

⁹³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 102-ე მუხლი II ნაწილი;

იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[20.04.2019].

საჯარო რეესტრიდან. ხოლო არაპირდაპირი მტკიცებულებები კი, კომუნალური გადადახდების ქვითრები, მოწმეთა ჩვენებები, ფოტო-აუდიო მასალა და სხვა.

მხარეთა ახსნა-განმარტება. მხარეთა ახსნა-განმარტება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას, რომელიც მოსამართლეს ზოგად (საუკეთესო შემთხვევაში ზუსტ), წარმოდგენას უქმნის სადავო საკითხის შესახებ. სასამართლო თავდაპირველად ეცნობა სარჩელსა, თუ შესაგებელში, მხარის მიერ გაცემულ ახსნა-განმარტებას, ხოლო შემდეგ მტკიცებულებებს. შესაბამისად, ახსნა-განმარტებით, სასამართლოს თავიდანვე ექმნება წარმოდგენა საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაძლო გადაწყვეტილების მიღების შესახებ. მხარის მიერ გაცემული ახსნა-განმარტება სასამართლოში წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობით ან ზეპირად. თუმცა, კანონმდებლობა მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებისათვის მიგვითითებს ახსნა-განმარტების წერილობითი ფორმით წარდგენის მნიშვნელობაზე, გარდა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა.

შეფასების საგანს წარმოადგენს ახსნა-განმარტების სანდოობა სხვა მტკიცებულებებთან კონკურენციისას. ცალკე აღებული ახსნა-განმარტება, არასაკმარისი მტკიცებულებაა, რადგან მხარის ახსნა-განმარტება, უნდა დასტურდებოდეს სხვა მტკიცებულებით, შესაბამისად, ახსნა-განმარტება დამაჯერებლად უნდა დაუკავშირდეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს.

ვერ დავეთანხმები დოქტრინაში გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ახსნა-განმარტება არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რადგან როგორც წესი მას გასცემს არა უშუალოდ მხარე, არამედ მისი სახელშეკრულებო წარმომადგენელი - ადვოკატი, რაც განსაზღვრულ დაბრკოლებებს ქმნის.

*„მას არ შეუძლია შეითავსოს მხარის როგორც მტკიცებულების წყაროს ფუნქცია, ისე როგორც არ შეუძლია შეითავსოს მოწმის ან ექსპერტის ფუნქცია“.*⁹⁴ რა თქმა უნდა, ადვოკატი ვერ იქნება მოწმე მის წარმოებაში არსებულ საქმეზე, მაგრამ

⁹⁴ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 311.

იქნება წარმომადგენელი, მხარის ინტერესების დამცველი და გამტარებელი, ხოლო საპროცესო შედეგი სრულად აისახება მხარეზე. *„მართალია, ურთიერთობაში გარეგნულად მონაწილეობს წარმომადგენელი, მაგრამ ამ ურთიერთობის შედეგები უშუალოდ მიმართულია წარმოდგენილი პირის მიმართ“.*⁹⁵

წარმომადგენლის მიერ წარდგენილი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ელექტრონულ მიმოწერას მხარეთა შორის არის მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება მხარეთა მიერ განხორციელებული, ანდა განსახორციელებელი მოქმედებები. *„იურიდიული ფაქტის გარეშე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა შეუძლებელია“.*⁹⁶ ეს მოქმედებები, თავდაპირველად მხარეთა წარმოსახვაში გაჩნდა, როგორც იდეა, შემდეგ კი გააჟღერდა, ამ შეთხვევაში წერილობითი ფორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს წერილობითი დოკუმენტი შეიცავს მხარის ცნობიერში დაბადებულ იდეას და მის მიერ სუბიექტურად აღქმული რეალობის გადმოტანას ობიექტურ (საერთო) რეალობაში. *„მოქმედება არის ადამიანის შეგნებული მოქმედების ნებითი აქტი, მისი ნებისა და ცნობიერების გარეგანი გამოხატვა“.*⁹⁷ იგივე შემთხვევაა, როდესაც ვსაუბრობთ ადვოკატის ახსნა-განმარტებაზე. ადვოკატმა შესაძლოა სათავისოდ (კლიენტის საუკეთესო ინტერესებისა და კანონის ურთიერთშეჯერებით)⁹⁸ შეალამაზოს ფაქტები, თუმცა ეს ფაქტები ადვოკატთან მიიტანა თავად მხარემ, თავად მხარემ ადვოკატის, როგორც საპროცესო ინსტრუმენტის, საშუალებით გააჟღერა თავისი პოზიცია. ადვოკატი ახსნა-განმარტებას აკეთებს იმაზე, რაც მოხდა მხარეთა შორის ურთიერთობიას და მას წარსულის შეცვლა არ შეუძლია.

მოწმეთა ჩვენება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოწმის ჩვენება, როგორც მტკიცებულება საკმაოდ ხშირად გამოიყენება. მოწმის დაკითხვის შესახებ შუამდგომლობა უნდა დააყენოს მხარემ. საქართველოს

⁹⁵ ჭანტურია ლ., „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, სამართალი, თბილისი, 2011, 425.

⁹⁶ ლობაჟანიძე გ., „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2009, 357.

⁹⁷ იქვე, 359.

⁹⁸ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-5 მუხლი; იხ. <http://www.legalaid.ge/files/1/GBA_Code.pdf>[20.04.2019].

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის განსაზღვრებით, ყოველი პირი ვისთვისაც ცნობილია რაიმე ინფორმაცია სამტკიცებელი ფაქტობრივი გარემოების შესახებ, შეიძლება იყოს მოწმე.⁹⁹ მოწმეს უნდა შეეძლოს ფაქტების სწორად აღქმა, მათი დამახსოვრება და სწორად გადმოცემა.

სასამართლოში მოწმედ დაბარებული პირი სასამართლოს აძლევს ჩვენებას. მოწმის ჩვენება არის სასამართლო სხდომაზე (თუ მოწმის დაკითხვა არ ხდება, მის საცხოვრებელ ადგილზე), სასამართლოსა და მხარეების მიერ კანონის საფუძველზე დაკითხული პირის მიერ გაცემული ინფორმაცია, საქმესთან დაკავშირებული და მისთვის ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლი ითვალისწინებს, მოწმის დაკითხვის შესაძლებლობას, რომელიმე მხარის დაუსწრებლად. ქართული ჩვეულებითი სამართლით კი გათვალისწინებული იყო არათუ მოწმის, არამედ მხარეთაგან ახსნა-განმარტების მიღება, ერთმანეთის დაუსწრებლად, კერძოდ:

„მოსამართლეები საქმის მომხსენებელი მოახსენებს მათ თავის საჩივარს და წარუდგენს რაც საბუთები აქვს. ეს ყოველივეს იტყვის, რაც სათქმელი აქვს, ადგება და წავა ისეთ ადგილას, რომ ვერ გაიგოს რასაც მოპასუხე იტყვის. მერე მოსამართლეთა წინაშე გამოცხადდება და მუხლს მოიდრეკს მოპასუხე, რომელსაც საქმის მომხსენებელი სიტყვასიტყვით გადასცემს ყოველსავეს, რაც მომჩივანმა მოახსენა მოსამართლეებს. ამის შემდეგ მოპასუხე თავის პასუხს მოახსენებს მოსამართლეებს და წარუდგენს თავის საბუთებს. დაასრულებს თუ არა თავის სიტყვას, მოპასუხე წავა, შემდეგ შემოვა ხელახლა მომჩივანი, რომელსაც საქმის მომხსენებელი გადასცემს მოპასუხის სიტყვებს. მომჩივანი კიდევ თავისას იტყვის, კიდევ წავა და შემოვა მოპასუხე. ასე გაგრძელდება, ვიდრე ორივე მხარე არ დაასრულებს თავის სიტყვას.“¹⁰⁰

⁹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 140-ე მუხლი I ნაწილი, იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[06.04.2019];

¹⁰⁰ გაბისონია ლ., „სამეგრელო საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია“, (ტომი I), მერიდიანი, თბილისი, 2005, 183.

მტკიცებულებების შეფასებისას და მოწმის ჩვენების გამოკვლევისას უმნიშვნელოვანესია დადგინდეს მისი პიროვნული დამოკიდებულება (დაინტერესება) ფაქტობრივი გარემოების მიმართ.

„ცნობილი იურისტი კონი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „იმისთვის, რომ განვსაზღვროთ, რომ ესა თუ ის პირი სასამართლოში ამბობს ტყუილს, აუცილებელია, პირველ ყოვლისა, განვიხილოთ მისი ჩვენება არსებითად, გავითვალისწინოთ ვითარება, რომელშიც მოცემულია ჩვენება, ხოლო, რაც მთავარია, ძირითადად იმაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რა წესით შეიქმნა (ჩამოყალიბდა) იგი“.¹⁰¹

შრომითი დავებისას ხშირად გამოიყენება მოწმეთა ჩვენებები და „დავის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელმაც თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებს“.¹⁰² კონსტიტუციური კანონი, შრომის კოდექსი, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სახელმწიფოს სოციალური მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, დამსაქმებლის დომინანტური მდგომარეობიდან გამომდინარე, შრომით დავებში მტკიცების ტვირთის ლომის წილი დამსაქმებელს აწევს. დამსაქმებლის მიერ, დასაქმებულზე ხშირი ზეწოლიდან გამომდინარე, უმეტესწილად დოკუმენტურად ყველაფერი წესრიგშია, თუმცა რეალური ფაქტობრივი გარემოებები საპირისპიროზე მიუთითებენ, შესაბამისად, ასეთ დროს, უმნიშვნელოვანესია მოწმეთა ჩვენებები.

შესაძლებელია, მოწმის ჩვენების უზრუნველყოფა, თუმცა ამისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. მაგალითად, ჯანმრთელების გაუარესების მოლოდინი. მაგრამ, თუ მოწმემ თავადაც არ იცის, რომ ჯანმრთელობის პრობლემა აქვს და აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია რის გამოც ის ვერ გამოცხადდება სხდომაზე? ანდა მოწმეთა დაკითხვის ეტაპზე

¹⁰¹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), მერიდიანი, თბილისი, 2015, 260.

¹⁰² ძამუკაშვილი დ., „შრომის სამართალი“, (მე-5 გადამუშავებული გამოცემა), ბონა კაუზა, თბილისი, 2019, 264.

მოწმის მოძიება იქნება შეუძლებელი? ასეთი შემთხვევების თავიდან არიდებისათვის აუცილებელია მოწმის ჩვენების დეკონირების ინსტიტუტის შემოღება.

ფაქტების კონსტატაციის მასალები. ფაქტების კონსტატაციისათვის, დადასტურება - აღბეჭდვისათვის, სასამართლომ ადგილზე დათვალიერება შეიძლება დაავალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - აღსრულების ეროვნულ ბიუროს.¹⁰³ ბიუროს, ფაქტების კონსტატაციის მოთხოვნით შეიძლება მხარემაც მიმართოს, როგორც საქმისწარმოებისას, ასევე სარჩელის აღძვრამდეც.

ფაქტის კონსტატაციისათვის, უფრო პრაქტიკულია, მხარის მიერ გამოძახებულ იქნას საპატრულო პოლიცია, რომელიც ადგილზე გამოცხადებისას ვალდებულია შეადგინოს რეაგირების ოქმი. რეაგირების ოქმში აღინიშნება მხარეთა რეკვიზიტები და საკითხი, რის გამოც აუცილებელი გახდა საპატრულო ეკიპაჟის გამოძახება. რეაგირების ოქმის გამოთხოვა შესაძლებელია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის განცხადების წარდგენის ან წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნულ რეაგირების ოქმს ჩვეულებრივი მტკიცებულების ძალა აქვს, უფრო მეტიც, მისი სანდოობა ნაკლებად საეჭვოა და სასამართლო ითვალისწინებს მას, როგორც სანდო მტკიცებულებას.

ჩვეულებრივი ფაქტების კონსტატაციისაგან განსხვავებით, ზემოაღნიშნული მეთოდი უფრო სწრაფია და უსასყიდლო, რაც მხარისთვის ორმაგად ხელსაყრელია. ამასთან, საპატრულო ეკიპაჟის გამოძახებით, ნეგატიური სამართლებრივი შედეგი არ დადგება არცერთი მხარისთვის, თუ გამოძახების მიზეზად, კონფლიქტური სიტუაცია, ანდა ფაქტის დაფიქსირების სურვილი იქნება დასახელებული და საპატრულო ეკიპაჟის მოსვლისას მხარეები არ ჩაიდენენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ანდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას.

¹⁰³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 122-ე მუხლი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[20.04.2019].

წერილობითი მტკიცებულება. წერილობითი მტკიცებულებები მატერიალური კანონმდებლობით დადგენილი იმპერატივებითა და სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, ყველაზე ეფექტური და სანდო მტკიცებულებაა. საქართველოს კანონმდებლობით, წერილობითი მტკიცებულება ზოგ კონკრეტულ საქმეზე განხილულია, როგორც ერთადერთი მტკიცებულება.

წერილობითი მტკიცებულებები იყოფა სახეობებად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის I ნაწილი განსაზღვრავს წერილობით მტკიცებულებათა სახეებს, კერძოდ: *„წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ“*.¹⁰⁴ კანონით განსაზღვრულია, თუ რომელი წერილობითი დოკუმენტი მიიჩნევა მტკიცებულებად, ხოლო რომელი არა, კერძოდ, სიტყვებით „შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ“.

ქართულ სამოქალაქო სამართალშიც, მსგავსად ანგლო-ამერიკულისა, წერილობითი მტკიცებულება შეიძლება იყოს ოფიციალური ან არაოფიციალური (კერძო). ოფიციალური სახის წერილობითი მტკიცებულებებია: სანოტარო აქტები, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული ინდივიდუალური აქტები, გარდაცვალების მოწმობა, ამონაწერი უძრავი ქონების რეესტრიდან, ცნობა სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ და სხვა. კერძო წერილობითი მტკიცებულებაა, რომელიც წარმოიშვა კერძო პირების ურთიერთობის შედეგად (ცოლ-ქმარს შორის პირადი მომოწერა და სხვა.).

წერილობითი მტკიცებულებები შეიძლება იყოს, „განმკარგულებელი“ და „შემატყობინებელი“ (ცნობების მომწოდებელი). განმკარგულებელია ისეთი წერილობითი მტკიცებულებები, როგორცაა: გარიგებები, მინდობილობები, ინდივიდუალური აქტები და სხვა.¹⁰⁵ შემატყობინებელია მტკიცებულებები,

¹⁰⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 134-ე მუხლი I ნაწილი, იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[06.04.2019];

¹⁰⁵ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), მერიდიანი, თბილისი, 2015, 304.

მაგალითად, პირადი წერილები, საქმიანი მიმოწერა, გაფრთხილების წერილები.¹⁰⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, გამყარებულია მხარის მიერ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითების ვალდებულება. ამასთან, სასამართლო უთითებს, რომ მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტის ასლის დედანთან შესაბამისობასა და სანდოობაზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს. გარდა ამისა, სსსკ-ის 135-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, მხარე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს დედანი დოკუმენტები. სასამართლომ მტკიცებულებას განიხილავს სხვა მტკიცებულებებთან ერთად და გამოკვლევის შედეგად მაქსიმალურად უნდა დაადგინოს დოკუმენტის სანდოობა.¹⁰⁷

არანაკლები მნიშვნელობისაა თავად წერილობითი მტკიცებულების ვარგისობის დამტკიცება ანდა გაბათილება. სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტი შესაძლოა სადავო გახდეს, არა იმის გამო, ადასტურებს თუ არა ფაქტობრივ გარემოებას, არამედ დოკუმენტის სიყალბის გამო. სადავო შეიძლება გახდეს დოკუმენტის ფორმალური გამართულობაც.

დოკუმენტის გაყალბების შედეგად არაერთი დავაა სასამართლოში. ერთ-ერთი ასეთი დავა შეეხება საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ფლობდა უძრავ ქონებას და აქირავებდა, რაც წარმოადგენდა შემოსავლის ძირითად წყაროს. მხარეებმა დადეს ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც დაამოწმეს ნოტარიუსთან კერძო აქტით (ხელოწერების დამოწმება). მოქირავნე აღმოჩნდა თაღლითი. მან ნოტარიულად დამოწმებული ქირავნობის ხელშეკრულება გახსნა, დოკუმენტში ჩააკერა ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები და ხელახლა შეკრა. ამ ცვლილების შემჩნევა ადვილი იყო, ვინაიდან ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ ქირავნობის ხელშეკრულებაზე დატანებული ფორმულარი და დოკუმენტის მთლიანობის ხელყოფის (გაყალბების) შემდეგ არსებული მონაცემები არ

¹⁰⁶ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 324.

¹⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2016 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე Nას-344-329-2016.

ემთხვეოდა დედანს, არც ხელმოწერების რაოდენობით და არც დოკუმენტის გვერდების რაოდენობით. თაღლითმა გაყალბებული დოკუმენტი წარადგინა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და საკუთრებაში დაირეგისტრირა უძრავი ქონება. უფლებადამდგენ დოკუმენტად საჯარო რეესტრმა მიუთითა ნასყიდობის ხელშეკრულება. შემდგომ, თაღლითმა დასაკუთრებული უძრავი ქონება დატვირთა იპოთეკით.¹⁰⁸

„უძრავ ნივთებთან მიმართებით სწორედ რეგისტრაცია წარმოადგენს მისი საკუთრების უფლების დადასტურებას და იმ შემთხვევაში შეუძლია მესაკუთრეს თავისი შეხედულებისამებრს განკარგოს უძრავი ნივთი და აუკრძალოს სხვა პირებს ამ ნივთთან დაკავშირებული ყოველგვარი მოქმედება, თუკი რეგისტრირებულია მესაკუთრედ საჯარო რეესტრში“.¹⁰⁹

წერილობითი მტკიცებულება შესაძლოა გაყალბებული იყოს სხვადასხვა გზით. შესაძლოა დოკუმენტი გაცემული იყოს არაუფლებამოსილი პირის მიერ, ხელმოწერა არ ეკუთვნის მითითებულ პირს, გადაკეთებული იყოს თარიღი, გაყალბებული იყოს ბეჭედი, ჩამატებული (ჩაკერებული იყოს სხვა ფურცელი) და სხვა. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია გულდასმით შემოწმდეს თითოეული დოკუმენტი. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი გაცემული იყოს შესაბამისი ორგანოს და უფლებამოსილი პირის მიერ. ასლი უნდა დაედაროს დედანს.

ანგლო - ამერიკული „აფიდევიტი“ თავისი შინაარსით გულისხმობს, მოწმის მიერ მისაცემი ჩვენების წერილობით დეკონირებას. „აფიდევიტი“ იქმნება მოსამართლის გარეშე, სასამართლოს შენობის გარეთ. საამისოდ უფლებამოსილ პირთან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მტკიცებულება „აფიდევიტს“ არ იცნობს. ხოლო „მოწმის დაკითხვა მის ადგილსამყოფელზე“ ანდა

¹⁰⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, 2018 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე №ბს-975-971(კ-17).

¹⁰⁹ ხმალაძე მ., „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების წარმოშობის სამართლებრივი ასპექტები (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები), (სამაგისტრო ნაშრომი), სსუ, თბილისი, 2018, 18;

იხ. <<http://www.library.court.ge/upload/44302018-09-19.pdf>>[20.04.2019].

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიება ნაკლებ ეფექტურია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად,

„მოწმის დაკითხვა წარმოებს ღია სასამართლო სხდომაზე. მოწმე შეიძლება დაიკითხოს მის ადგილსამყოფელზე, თუ: ა) ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის ან სხვა საკატო მიზეზით მას არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში; ბ) საქმის გარემოებათა მიხედვით მისი ადგილზე დაკითხვა უფრო მიზანშეწონილია; გ) დაკითხულ უნდა იქნეს რამდენიმე მოწმე, რომლებიც ერთ ადგილას ცხოვრობენ და მათი სასამართლოში გამოძახება და დაკითხვა დაკავშირებული იქნებოდა დიდ ხარჯებთან; დ) სხვა შემთხვევებში – სასამართლოს შეხედულებისამებრ“¹¹⁰

მხარის დაკითხვა მის ადგილსამყოფელზე გულისხმობს, სასამართლოს მიერ მოწმის დაკითხვას, პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით, ანდა უფლებამოსილი პირის დახმარებით. მოწმეთა დაკითხვის ეტაპი კი შეიძლება ჩაინიშნოს სარჩელის აღძვრიდან ერთ, ორ, ან სამ წელიწადში, ამ დროისთვის მოწმის წარმოდგენები შეცვლილი, დეტალები კი დავიწყებულია. შესაძლოა მოწმე სულაც აღარ იყოს ცოცხალი, ან არ იძებნებოდეს.

ვფიქრობ აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატოს მუხლი, რომლითაც შესაძლებელი იქნება მოწმის ჩვენების დეპონირება. იმ შემთხვევაში თუ მოწმის დაკითხვის დროისთვის მოწმეს უშუალოდაც შეეძლება ჩვენების მიცემა, გარდა ჩვენების დაზუსტებისა ეს იქნება საშუალება თავად მოწმის მიერ გაცემული ჩვენებების ურთიერთშესაბამისობის დადგენისათვის და მოწმის დაინტერესების გამორიცხვისათვის.

წერილობით მტკიცებულება განსხვავებით ნივთმტკიცებისაგან, საინტერესოა მისი შინაარსის მნიშვნელობით. ნივთმტკიცება, ვიზუალურად ანდა თვისობრივად იძლევა ინფორმაციას.

¹¹⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 147-ე მუხლი; იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131> >[09.04.2019].

ნივთმტკიცება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154 -ე მუხლის I ნაწილი განსაზღვრავს ნივთიერი მტკიცებულების რაობას, კერძოდ: *„ნივთიერი მტკიცებულებებია ის ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას“.*¹¹¹

ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება იყოს, როგორც ნივთი, ასევე ტექსტობრივი დოკუმენტი, თუმცა საკვლევი იყოს, როგორც ნივთმტკიცება, მაგალითად დოკუმენტის გაყალბების საქმეზე. ნივთმტკიცების რაობას განსაზღვრავს სამტკიცებელი გარემოება. მისი შეფასებით, შესაძლებელია ზიანის მოცულობის, ნივთის ხარისხისა და სხვა გარემოებების დადგენა. ნივთმტკიცება შესაძლოა თავად იყოს სადაო. თუ ნივთმტკიცება დიდი მოცულობისაა, ანდა მისი სასამართლო სხდომაზე წარმოდგენა შეუძლებელია, სასამართლომ ადგილზე უნდა გამოიკვლიოს იგი. პრაქტიკაში მხარეები სასამართლოს წარუდგენენ ნივთის ამსახველ ფოტო-ვიდეო მასალას, ანდა ექსპერტის დასკვნას. ამ შემთხვევაში ნივთმტკიცება გარდაიქმნება წერილობით მტკიცებულებად.

ექსპერტის დასკვნა. *„საექსპერტო ცოდნის გამოყენების გარეშე მართლმსაჯულების სამართლიანი წარმოება შეუძლებელია“.*¹¹²

ექსპერტის დასკვნა საჭიროა, როდესაც სამართლის ცოდნა, არ არის საკმარისი საკითხის ნათელსაყოფად და აუცილებელია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების ექსპერტის მოსაზრების (დასკვნის) არსებობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის I ნაწილით, თუ საქმის განხილვისას, რაიმე კონკრეტულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არა აქვს, მას შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტის დანიშვნის

¹¹¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 154-ე მუხლი I ნაწილი, იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[06.04.2019];

¹¹² როსტიაშვილი გ., დეკანოზიშვილი გ., „ექსპერტიზა და მართლმსაჯულების პრბლემები“, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, სპეციალური გამოცემა N2, 2015, 133; იხ. <http://www.library.court.ge/upload/samartali_da_msolfio.pdf>[28.04.2019].

აუცილებლობა გამომდინარეობს საკვლევი საგნის განსაკუთრებული მნიშვნელობით საქმის განსახილველდად.¹¹³

სასამართლო ხშირად მიმართავს ზოგადმეცნიერული მიღწევების შედეგად დაგროვებულ სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას - ექსპერტიზას. სპეციალური ცოდნა გულისხმობს, ცოდნას, რომელსაც არ მოიცავს სამართლის ნორმების ცოდნა და სხვა სპეციფიკის კვლევას საჭიროებს. ექსპერტის სპეციალური ცოდნა, განიხილება, როგორც შეუცვლელი. მოსამართლის ზოგადი ცოდნა, ან გატაცების დონეზე ცოდნა, ვერ გაუტოლდება ექსპერტის დასკვნას. ექსპერტის დასკვნა, მნიშვნელოვანი და მყარი მტკიცებულებაა, რომელიც თითქმის ყველა განსახილველ საქმეზე აუცილებელია.

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს თუ რა შეიძლება იყოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გარკვევას სპეციალური ცოდნა სჭირდება და რა სახის სპეციალურ ცოდნაზეა საუბარი, ვინაიდან დაუშვებელია ექსპერტის დასკვნა სამართლებრივ საკითხებზე, ან მორალურ-ზნეობრივ საკითხებზე.¹¹⁴

მასალებს, როლებსაც უნდა ჩაუტარდეს ექსპერტიზა, ექსპერტს უგზავნის სასამართლო, ან თავად მხარე. ექსპერტი არ მოიპოვებს მასალებს თავისი ინიციატივით, საკანონმდებლო შეზღუდვის გამო. გარდა ამისა, ისევე, როგორც სასამართლო, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ეროვნული ექსპერტიზის ბიურო, (ავტორიტეტული ექსპერტიზა, სასამართლოსთვის) გადატვირთულია საქმეების რაოდენობით, შესაბამისად არცერთი ექსპერტი არ დაკარგავს დროს სრულფასოვანი გამოკვლევისთვის და იმ მასალების მოძიებისთვის, რომლებიც მხარემ არ წარუდგინა. უფრო მეტიც, შექმნილ რეალობაში, თუ ექსპერტი დროულად ჩაატარებს ექსპერტიზას და დადებს დასკვნას, მარტოოდენ ეს, საკმარისი იქნება იმის მიჩნევისთვის, რომ ექსპერტიზა

¹¹³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 162-ე მუხლი I ნაწილი, იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[07.04.2019];

¹¹⁴ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, (მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა), სამართალი, თბილისი, 2007, 284.

კარგად ჩატარდა, ისევე როგორც, თუ სასამართლო ერთი წლის ვადაში განიხილავს დავას.

ექსპერტის დასკვნად არ ჩაითვლება, თავად მხარის, ან მასზე მომუშავე სპეციალისტის შეფასება (მოხსენება, განმარტება). ექსპერტის დასკვნის იმიტაციას, საკმაოდ ხშირად, მიმართავენ კომპანიები, როდესაც მათი სპეციალისტების მოხსენებას (ასხნა-განმარტებას), სათაურად აწერენ დასკვნას. ასეთი დასკვნა არ აღემატება ჩვეულებრივ წერილობით მტკიცებულებას, ეს მხოლოდ დასკვნის იმიტაციაა.

ექსპერტის დასკვნა წერილობითი დოკუმენტია და შეიცავს პასუხს ექსპერტის წინაშე დასმულ კითხვებზე. მასში დეტალურად უნდა მიეთითოს, ჩართული პირებისა და თითოეული საექსპერტო მოქმედების შესახებ. ასევე, იმის შესახებ, თუ კვლევის რა მეთოდებით იხელმძღვანელა ექსპერტმა და როგორ დაადგინა საკვლევი გარემოება.¹¹⁵

დასკვნის განსამარტად, შესაძლოა დაიკითხოს ექსპერტი. ხშირ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც ექსპერტი სასამართლოს წარუდგენს დასკვნას, იგი ზეპირადაც დაიკითხება და სასამართლოსა და მხარეებს განუმარტავს დასკვნის შინაარსს.

ექსპერტის დასკვნა, არის ზუსტი, ან მიახლოებითი (სავარაუდო). ზუსტი დასკვნა ამომწურავად გადმოსცემს მოვლენების განვითარების სცენარს. სავარაუდო დასკვნა, უშვებს, რომ შესაძლოა მოვლენები სხვაგვარად განვითარებულყო. დასკვნის სანდოობისთვის აუცილებელია ექსპერტის კვალიფიკაციის შემოწმება.

აღიარება. მხარის მიერ ფაქტობრივი გარემოებების ან სარჩელის დადასტურება (აღიარება) დაშვებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით.¹¹⁶ აღიარება უმნიშვნელოვანესი საპროცესო სამართლებრივი

¹¹⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2016 წლის 10 ივნისის განჩინება, საქმეზე N 28/6052-15.

¹¹⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 131-ე მუხლი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[21.04.2019].

ინსტიტუტია. მოწინააღმდეგე მხარის მიერ გაცემულ დადასტურებას - აღიარებას, შეუძლია დავის გადაწყვეტა საქმის განხილვის გარეშე.

ერთმანეთისგან განსხვავდება სარჩელისა და ფაქტობრივი გარემოების აღიარება. აღიარებამ შესაძლოა საფუძველი გამოაცალოს ამლიარებლის პოზიციას და შექმნას გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა. აღიარება ყველა არსებულ მტკიცებულებაზე უფრო მყარია. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ აღიარება, პასუხისმგებელი პირის მიერ განხრციელდეს. აღიარების საფუძველზე, მხოლოდ, მაშინ დაკმაყოფილება სარჩელი, თუ პასუხისმგებლობა ამლიარებელს დაეკისრება.¹¹⁷

აღიარების გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია, რათა მხარეებმა, მტკიცებულებათა შექმნისას (სარჩელი, შესაგებელი, შუამდგომლობა, და სხვა), არ უღიარონ მოწინააღმდეგე მხარეს სარჩელი ან ფაქტობრივი გარემოებები.

2.2 აუცილებელი მტკიცებულებები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალით ფაქტები სამბუნებოვანია. პირველი არის ფაქტები, რომლებიც განსაზღვრავს საპროცესო მოქმედებებს. (სარჩელის, განცხადების მიღება წარმოებაში, უარი მის მიღებაზე). მეორე, საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რაც სადავოა მხარეთა შორის და რომელსაც უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი. (სარჩელის დაკმაყოფილება, ნაწილობრივ დაკმაყოფილება ან უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე). დაბოლოს, მტკიცებულებები ე.ი. ფაქტები, რომლებითაც დასტურდება სადავო ფაქტობრივი გარემოებები.¹¹⁸

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს 103-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის ძალითაც მხარეებს,

¹¹⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე N 28/4378-10.

¹¹⁸ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 268.

არგუმენტების შედეგად შესაძლებლობა ეძლევათ საქმეს დაურთონ მტკიცებულებები, საქმის განხილვის მთავარ სხდომაზე.¹¹⁹ აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ხშირად მხარეები დამოკიდებულნი არიან მესამე პირებზე (სახელმწიფო უწყებებსა და სხვ.), რაც ართულებს მტკიცებულებათა მოპოვებას. სახელმწიფოს მიერ ხშირად ირღვევა ვადები. მოწინააღმდეგე მხარე კი თავს არიდებს მტკიცებულებების მოწოდებას. ამასთან, ზოგჯერ მოსამართლე უბრალო მოკვდავთათვის გაუგებარი მიზეზით, დროზეადრე ჩანიშნავს მთავარ სხდომას (პირდაპირ მთავარ სხდომას), მიუხედავად იმისა, რომ მხარეები დამატებითი მტკიცებულებების წარდგენაზე შუამდგომლობენ და ამ ეტაპზე არანაირი მტკიცებულება წარდგენილი არ აქვთ. ზემოთმითითებული საკანონმდებლო ფანჯრით კი მხარეს შეუძლია მტკიცებულებები წარადგინოს მთავარ სხდომაზეც, თუმცა უმეტესად ეს შესაძლებლობაც ისეთივეა, როგორც მტკიცება იმისა, რომ შესაგებლის წარდგენის ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

2.3 არასაკმარისი მტკიცებულებები

სასამართლოს მიერ გასახილველ საქმეზე დართული მტკიცებულებები საკმარისია, თუ ისინი ნათელს ჰფენს სადავო ფაქტობრივ გარემოებს. თუ, წარმოდგენილი მტკიცებულებები, ფაქტობრივი გარემოების ნათელსაყოფად არ კმარა, მაშინ წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისია. როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, ცალკე აღებული ირიბი მტკიცებულება არაა საკმარისია. მტკიცებულებათა არასაკმარისობაზე მიუთითებს, ისიც, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები გამორცხავს ერთმანეთს. მტკიცებულება, რომელიც არ ქმნის ერთმნიშვნელოვან სურათს ფაქტობრივი გარემოებების შესახებ მიიჩნევა არასაკმარის მტკიცებულებად.¹²⁰

¹¹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 103-ე მუხლი IV ნაწილი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[12.05.2019].

¹²⁰ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), მერიდიანი, თბილისი, 2015, 260.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მტკიცებულებებთან ერთად განსაზღვრავს მტკიცებულებათა კლასიფიკაციას, განარჩევს მტკიცებულებებს და მიუთითებს მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის III ნაწილი განსაზღვრავს მტკიცებულებათა დასაშვებობას, კერძოდ, *„საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“*.¹²¹ დასაშვებ მტკიცებულებებს განსაზღვრავს მატერიალური სამართალი. მაგალითად, სესხის ხელშეკრულებისას, თანხის გადაცემა არ შეიძლება დადასტურდეს მარტოდენ მოწმეთა ჩვენებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლი I ნაწილი განსაზღვრავს მტკიცებულებათა განკუთვნიადობას, კერძოდ, *„სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ“*.¹²² განკუთვნიადობის პრინციპი იცავს საქმის განმხილველ სასამართლოს მაკულატურის გაცნობაზე დროის ხარჯვისგან.

მტკიცებულებათა განკუთვნიადობის დადგენაში მონაწილეობს პროცესის ყველა სუბიექტი. ნებისმიერ მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს მტკიცებულების საქმიდან ამორიცხვის თაობაზე. გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

„მტკიცების დროს (მტკიცების პროცესში) დაუშვებელია ისეთი საპროცესო მოქმედებების შესრულება, რომელიც ზიანს აყენებს ფიზიკური პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ლახავს პატივსა და ღირსებას, აგრეთვე საქმიან რეპუტაციას“.¹²³

მტკიცებულებათა არასაკმარისობა, ზედაპირული შეფასებით მიუთითებს წარმომადგენლის არაკვალიფიციურობაზე და მის მიერ წინდახედულების ნორმების დარღვევაზე. თუმცა რეალობაში წინდახედულობის ნორმები იქამდეა

¹²¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 102-ე მუხლი III ნაწილი, იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[06.04.2019];

¹²² იქვე, 104-ე მუხლი I ნაწილი.

¹²³ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), მერიდიანი, თბილისი, 2015, 251-252.

დარღვეული ვიდრე საქმე სასამართლოს გადაეცემა და ვიდრე საქმეს ადვოკატი მოჰკიდებს ხელს. მაგალითად, ერთმა პირმა, მეორეს ასესხა 10 000 ლარი. მხარეებმა ვინაიდან ერთმანეთის მეგობრები არიან, უხერხულობის თავის არიდების გამო სესხის ხელშეკრულება არ გააფორმეს წერილობით. პერიოდული გადახდებს, მსესხებელი ახორციელებდა ნაღდი ანგარიშსწორებით, ხელწერილის გარეშე. 900 ლარის გადახდის შემდეგ, მსესხებელმა გაიგო, რომ გამსესხებელი ვერ დაამტკიცებდა სესხის არსებობას და შეწყვიტა ვალდებულების შესრულება. გამსესხებელმა, იცოდა მსესხებლის ხასიათი და სესხის ხელშეკრულების დადების, თანხის გადაცემისა და გადახდების მიღების დროს, აწარმოა მსესხებლის ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. ჩანაწერი წარმოადგენს მის ერთადერთ მტკიცებულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მესამე წინადადებით, სესხის „ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით“.¹²⁴ ამასთან პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-11, მე-12 და მე-13 მუხლები,¹²⁵ ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ ვიდეოსათვალთვალო საშუალებაში აღსაბეჭდი პირის ვიდეოჩაწერის შესახებ ინფორმირებულობის აუცილებლობაზე.

განხილულ შემთხვევაში, რაც არც თუ ისე იშვიათობას წარმოადგენს, მხარის მიერ დაღვეულია საკანონმდებლო იმპერატივი, რისი გამოსწორებაც სასარჩელო წარმოებაში შეუძლებელი იქნება, თუ მეორე მხარე არ აღიარებს ვალდებულების არსებობას.

¹²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 624-ე; იხ.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=101>>[12.05.2019].

¹²⁵ საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ,

იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=19>>[12.05.2019].

თავი III. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება

3.1 მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სამართლის სუბიექტებად მიჩნეულია, მოქალაქეები, არამოქალაქეები, კომერციული, არაკომერციული, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ყველა პირი ვისაც აქვს უფლებები და მოვალეობები.¹²⁶

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმპერატივებით, სამართალწარმოებას სასამართლოში ახორციელებენ, მოსამართლე და მხარეები. მხარეებს წარმოადგენენ, მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები თანამონაწილეები (თანამოსარჩელე, თანამოპასუხე).¹²⁷ შესაბამისად, უნდა განისაზღვროს ვის რა ვალდებულება აქვს მტკიცების ტვირთის ზიდვაში.

ანალიზის საფუძველზე, ნათელი ხდება, რომ სასამართლოს არ აწევს მტკიცების ტვირთი. სასამართლო მტკიცებით საქმიანობაში მონაწილეობს მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით და არა პროცესის მოგების მიზნით.

მტკიცების ტვირთი უნდა ზიდოს პროცესის მონაწილე იმ მხარემ, რომლისთვისაც ფაქტობრივი გარემოების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში გამოვა უარყოფითი გადაწყვეტილება. მტკიცების ტვირთი უნდა ზიდონ მხარეებმა. მხარეებთან ერთად, თანამონაწილეებმა და მესამე პირებმა.¹²⁸ ვინაიდან წარმომადგენლები, არიან ერთგვარი შუამავლები სასამართლოსა და მხარეთა შორის და მტკიცებულებით საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ, წარმომადგენლებიც არიან მტკიცების სუბიექტები.¹²⁹

¹²⁶ ლობჟანიძე გ., „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2009, 345.

¹²⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მე-3 მუხლის I ნაწილი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[09.04.2019].

¹²⁸ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 286.

¹²⁹ ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), მერიდიანი, თბილისი, 2015, 254.

სამოქალაქო სამართლებრივი პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია დადგინდეს, მხარე ვალდებულია მტკიცების ტვირთის ზიდვაში თუ მოქმედებს საკუთარი შეხედულებით. ვინ უნდა მიუთითოს, ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და რა შესაძლო შედეგი დადგება ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებლობისას.

გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში სამოქალაქო სამართლებრივი საქმისწარმოებისას მტკიცების ტვირთი უნდა ზიდოს მხარემ, შესაბამისად, მანვე უნდა წარადგინოს ან მიუთითოს მტკიცებულებაზე, რომელიც დაადასტურებს მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას.

სასამართლო საქმის მომზადებისას მხარეებთან ერთად განსაზღვრავს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსა და პრეიუდიციულად დადგენილ ფაქტებს, ასეთის არსებობისას. ასევე, მხარეების მიერ თუ, როგორ უნდა დამტკიცდეს სადავო ფაქტობრივი გარემოებები და ვინ უნდა ზიდოს მტკიცების ტვირთი.¹³⁰

მითითებულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები. სასამართლო მტკიცების ტვირთის განსაზღვრას იწყებს საქმის მომზადების ეტაპზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარემ შესაგებლით ან წერილობითი ფორმით სადავო გახადა მხარის მიერ მითითებული გარემოებები და ნათელი არ გახდა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი. მხარის მიუთითებლობის შემთხვევაში სასამართლო არ არის უფლებამოსილი მოსამზადებელ ეტაპზე შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულებები.¹³¹ იმ შემთხვევაში, თუ მხარე მოსამზადებელ ეტაპზე არ გააკეთებს შედავებას მოწინააღმდეგის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, სასამართლო საქმეს მომზადებულად ჩათვლის და დავა გადაიზრდება მთავარ სხდომაში. მთავარ სხდომაზე მხარე შეზღუდულია ახალ მტკიცებულებებზე მითითებაში. სასამართლო მხარის (მოსარჩელის) მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს აფასებს იმდენად,

¹³⁰ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 284.

¹³¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 105-ე მუხლი I ნაწილი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[09.04.2019].

რამდენადაც საკმარისი იქნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად, თუ მოპასუხე არ ჩაებმევა პროცესში. თუმცა ამგვარი შეფასებაც მხოლოდ თეორიაში, რადგან პრაქტიკაში სასამართლო ხშირად იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და მხოლოდ გასაჩივრების შემდეგ აღმოაჩენს, რომ სარჩელი წარმოებაში არ უნდა მიეღო, ხელმოწერის, ხელშეკრულების არ არსებობის, არსათანადო მხარის ხელმოწერის და სხვა საფუძვლების გამო.

3.2 მტკიცებულებათა მოპოვება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეებს აიძულებს იაქტიურონ სამართალწარმოებაში, მოიპოვონ და სასამართლოს წარუდგინონ მათთვის საჭირო მტკიცებულებები. შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა მოპოვება, ან მათი არსებობის შესახებ ინფორმაციის მოკვლევა ევალებათ მხარეებს. სასამართლოს როლი აქ შესუსტებულია და მხოლოდ დახმარების უფლებამოსილებით შემოიფარგლება. საქმის განხილვისას, იმ შემთხვევაში, თუ, მხარის მიერ წარდგენილი სარჩელი ან შესაგებელი ხარვეზიანია სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს დაეხმაროს მტკიცების საგნის განსაზღვრაში, ასევე მიუთითოს აუცილებელ მტკიცებულებებზე, მტკიცებულებათა საკმარისობაზე და გადაანაწილოს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი.

„პრაქტიკულად, მტკიცებულებების შეგროვებისაკენ მიმართული მოქმედება უნდა დაიწყოს ჯერ კიდევ საქმის აღძვრამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ სასარჩელო წარმოების დაწყებამდე მოსარჩელე ან მოსარჩელის წარმომადგენელი უნდა დარწმუნდეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობასა და სასარჩელო ფაქტების დასადასტურებლად შესაბამისი მტკიცებულებების არსებობაში. თუმცა, ძირითადი მოქმედება აუცილებელი მტკიცებულებების მოსაძიებლად იწყება საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების ეტაპზე, როდესაც

მხარეები იღებენ სრულ ინფორმაციას სასარჩელო მოთხოვნის მატერიალური საფუძვლისა და სარჩელის უარყოფის შესახებ...“¹³²

მტკიცებულებების შეგროვებას ადვოკატი ძირითადად იწყებს სასარჩელო წარმოების დაწყებამდე, საქმის სასამართლოსთვის გადაცემამდე. მტკიცებულებები მოიძიება თავად მხარესთან, სახელმწიფო უწყებებში, სასამართლოში და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულების გაცემაზე უარს აცხადებს სახელმწიფო ორგანო, კომპანია, ან კერძო პირი, მხარე სასამართლოსთან შუამდგომლობს მტკიცებულების გამოთხოვაზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია, რომ თავდაპირველად მხარემ თავად გამოითხოვოს მტკიცებულება და მიიღოს უარი.

„საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ზოგადი წესის მიხედვით, წერილობითი მტკიცებულებები თვითონ მხარეებმა უნდა წარუდგინონ სასამართლოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარემ ვერ მიიღო წერილობითი მასალები ფიზიკური თუ იურიდიული პირისაგან, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე“¹³³

„ადვოკატი აგროვებს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც მის პოზიციას განამტკიცებს და ადასტურებს მისი (კლიენტის) მოთხოვნის საფუძვლიანობას“¹³⁴

გაჟღერებულ მსჯელობას არ ვეთანხმები, ვინაიდან, ადვოკატი მზად უნდა იყოს მოწინააღმდეგის შესაძლო სტრატეგიისთვის და მის ხელთ არსებული მტკიცებულებებისთვის.

„დოკუმენტები, რომელსაც ადვოკატი ადგენს, შეიძლება იყოს პროცესუალური და არაპროცესუალური. პროცესუალურია დოკუმენტები, რომელთა შედგენა ხდება გარკვეული წესების დაცვით, წერილობითი ფორმით და რომელიც

¹³² გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012, 19; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>[21.04.2019].

¹³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2014 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N ას-204-191-2014.

¹³⁴ კაიშაური ბ., „ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე“, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, 29.

გამოიყენება სასამართლოში მტკიცებულებითი მნიშვნელობით. ხოლო არაპროცესუალური დოკუმენტი მხოლოდ ინფორმაციული მნიშვნელობისაა, თუმცა ზოგიერთ მათგანმა, გარკვეულ ეტაპზე შეიძლება შეიძინოს მტკიცებულებითი ძალა“.¹³⁵

ინფორმაციულია დოკუმენტები, რომლებიც დავის წარმოშობის შემთხვევაში შეიძენენ პროცესუალური დოკუმენტების მნიშვნელობას, მაგალითად:

„ცნობა-დახასიათება, საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მებაღის წიგნაკი, მიწების განაწილების სია თანდართული მიწის გამოყოფის გეგმით ან მის გარეშე, გადასახადის გადამხდელთა სია (საგადასახადო სია), მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი...“.¹³⁶

3.3 შესაგებლის როლი მტკიცების ტვირთის ზიდვაში

საქმის განხილვის შედეგი, საქმის განხილვაში მონაწილე მხარეთა აქტიურობაზეა დამოკიდებული. შესაგებელი, როგორც სამოქალაქო საპროცესო ინსტრუმენტი, ერთდროულად წარმოადგენს, როგორც სარჩელისაგან თავდაცვის საუკეთესო, აგრეთვე სავალდებულო საშუალებას.

მტკიცების ტვირთი არის მხარის ვალდებულება, დაამტკიცოს თავისი სამართლებრივი პოზიციის ყველა ელემენტი. ამ მიზნის მიღწევა მხარეს შეუძლია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების საშუალებებით.

2007 წლის 28 დეკემბერიდან მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენა სავალდებულოა. შესაგებლის წარმოუდგენლობისთვის საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს უმძიმეს სანქციას

¹³⁵ კაიშაური ბ., „ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე“, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, 30.

¹³⁶ ხმაღამე მ., „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების წარმოშობის სამართლებრივი ასპექტები (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები), (სამაგისტრო ნაშრომი), სსუ, თბილისი, 2018, 25;

იხ. <<http://www.library.court.ge/upload/44302018-09-19.pdf>>[29.04.2019].

დაუსწრებელი გადაწყვეტილების სახით.¹³⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის VII ნაწილის თანახმად, მოპასუხის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.¹³⁸

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შიში აიძულებს მხარეებს ჩაებან სასამართლო პროცესში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება სანქციაა, რომელიც განკუთვნილია სასამართლოსთვის საქმის გადაწყვეტის გაადვილებისათვის. როდესაც მხარე არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებამოსილებას, ქმნის პრეზუმციას, რომ მან დაკარგა ინტერესი დავისა და მისი შედეგის მიმართ. სარჩელის სსსკ-ის 70-78-ე მუხლების დაცვით ჩაბარებისას, სასამართლოს კანცელარიის მიერ განსაზღვრულ ვადაში არასაპატიო მიზეზით პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობა გამოიწვევს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რაც კანონის იმპერატივს წარმოადგენს.¹³⁹

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის I ნაწილის მე-3 წინადადება, განსაზღვრავს შესაგებლის წარმოსადგენად გათვალისწინებულ შესაძლო ვადებს, კერძოდ, „სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს“.¹⁴⁰

მოპასუხისათვის წერილობითი პასუხის (შესაგებლის) წარდგენის ვადას განსაზღვრავს მოსამართლე, რა დროსაც მოსამართლე ხელმძღვანელობს საქმის სირთულით.¹⁴¹

¹³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის, 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.

¹³⁸ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 201-ე მუხლის VII ნაწილი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[12.04.2019].

¹³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლო, დიდი პალატა, 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე N ას-121-117-2016.

¹⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 201-ე მუხლი I ნაწილი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[11.04.2019].

¹⁴¹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, (მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა), სამართალი, თბილისი, 2007, 361.

პრაქტიკაში, შესაგებლის წარდგენის ვადას განსაზღვრავს არა სასამართლო, საქმის სირთულის კვალიფიციური შემოწმების შემდეგ, არამედ სასამართლოს კანცელარიის მუშაკი, რომელიც მხარის მიერ წარდგენილ სარჩელსა და ასლს ადარებს ერთმანეთს, არეგისტრირებს, ურთავს შაბლონურ გერბიან დოკუმენტს, ათავსებს კონვერტში (აკონვერტირებს) და გადასცემს მოსარჩელეს, მოპასუხისათვის გასაგზავნად. შაბლონი, შეიცავს მითითებას, შეჯიბრებითობის პრინციპის, შესაძლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისა და შესაგებლის წარმოდგენის ვადის შესახებ, რომელიც პირვალი ინსტანციის სასამართლოში შეადგენს 10 დღეს.¹⁴²

სასამართლო, ამ და სხვა თითქოს უმნიშვნელო კანონდარღვევით, განამტკიცებს იურისტებს შორის ცნობილ შეხედულებას, რომ თეორია და პრაქტიკა განსხვავდება და მართალიცაა, ვინაიდან ვიღაც არღვევს კანონს, ხოლო ვიღაც ამაზე თვალს ხუჭავს.

შესაგებლის წარმოდგენის ათდღიან ვადასთან დაკავშირებით იმსჯელა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. სადაც მოპასუხემ ობიექტური მიზეზების გამო ათდღიან ვადაში ვერ წარადგინა შესაგებელი. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ათდღიან ვადაში ვერ უზღუნველყოფდა შესაგებლის წარდგენას, მას სასამართლოსთან უნდა ეშუამდგომლა შესაგებლის წარმოდგენის ვადის გახანგრძლივების თაობაზე. სასამართლომ ფაქტობრივ დასაბუთებით ნაწილში, მიუთითა, რომ მოპასუხე ვალდებული იყო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ათდღიან ვადაში წარედგინა შესაგებელი, ან შუამდგომლობა ვადის გახანგრძლივების თაობაზე.¹⁴³

აღნიშნული გადაწყვეტილება, გარდა უკანონობისა, უსამართლოცაა. შესაგებლის წარმოდგენის ათდღიან ვადას განსაზღვრავს არა სასამართლო, არამედ

¹⁴² ირემაშვილი მ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების ანალიზი“, (სამაგისტრო ნაშრომი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018,20; იხ.<<http://www.library.court.ge/upload/9682018-09-16.pdf>> [10.04.2019];

¹⁴³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2016 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება N28/92-15.

სასამართლოს კანცელარია. კანონმდებლობა კი უშვებს 14 დღიან ვადას საშუალო სირთულის საქმეზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის ანალიზით კი აშკარაა, რომ სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი არ არის უფლებამოსილი მოპასუხეს განუსაზღვროს შესაგებლის წარმოდგენის ვადა.¹⁴⁴

სასამართლო, ამ და სხვა კანონდარღვევით, განამტკიცებს იურისტებში ცნობილ შეხედულებას, რომ თეორია და პრაქტიკა განსხვავდება ერთმანეთისაგან. რაც მართალია, ვინაიდან ვიღაც არღვევს კანონს, ხოლო ვიღაც ამაზე თვალს ხუჭავს.

საკანონმდებლო ინიციატივა. 2015 წლის 09 ოქტომბერს, მოქალაქე ლეილა არხოშაშვილის მიერ ინიცირებულ იქნა შესაგებლის წარმოდგენლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების პირდაპირ სააპელაციო სასამართლოში საერთო წესების დაცვით გასაჩივრების შესაძლებლობა. რითაც თავიდან აცილებული იქნებოდა ერთჯერადი გასაჩივრებით საქმის განხილვის გაჭიანურება.¹⁴⁵

საკანონმდებლო ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს და უარი დაასაბუთეს არასერიოზული არგუმენტებით. რეალური მიზეზი კი, დელიკატურ სიტყვებს შორის, რომ ამოვიკითხოთ ასეთია: სასამართლო ისედაც გადატვირთულია ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სარჩელებით, რაც სახელმწიფოსთვის ხელსაყრელია, ვინაიდან ფინანსური ინსტიტუტები დიდ მოსაკრებელს იხდიან სახელმწიფო ხაზინაში, ხოლო თუ მოპასუხემ სახსრების უქონლობის გამო დროულად ვერ მიმართა ადვოკატს და შესაგებელი ვერ წარადგინა, ეს მისი პრობლემაა დაე ბოლომდე დაისაჯოს.

ქართულ სამართლებრივ რეალობაში არსებული ყველა პრობლემა უკავშირდება სასამართლოს გადატვირთულობას. თუ მართლმსაჯულება არასათანადოდ

¹⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 183-ე მუხლი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[11.04.2019].

¹⁴⁵ საქართველოს პარლამენტი, ლეილა არხოშაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232 პრიმ და 201-ე მუხლებში ვცლილება-დამატების თაობაზე. იხ. <<https://info.parliament.ge/#law-drafting/12848>>[21.04.2019].

განხორციელდა - სასამართლო გადატვირთულია, თუ სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები - სასამართლო გადატვირთულია, თუ სასამართლომ არაკვალიფიციურად და არასერიოზულად დაასაბუთა გადაწყვეტილება - სასამართლო გადატვირთულია, სასამართლოს საოცარ ქმედებებზე, კი მოსამართლეების რაოდენობაა ცოტა და საქმეს ვერ აუდიან. გამომდინარე სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილებები უფრო ხშირად ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სასარგებლოდ მიიღება, საკანონმდებლო ინიციატივას მხარი სახელმწიფო ინტერესების გათავალისწინებით არ დაუჭირეს. სახელმწიფო ინტერესები კი ხშირ შემთხვევაში მცირე გავლენიან ჯგუფამდე დაიყვანება, რომელიც სახელმწიფოს სახელით ზრუნავს პირად კეთილდღეობაზე.

შესაგებლის უმნიშვნელოვანესი ელემენტი ახსნა-განმარტებაა. ახსნა-განმარტებით სასამართლოს წარმოდგენა ექმნება სადავო საკითხზე. ამასთან, ახსნა-განმარტება პირველადი მტკიცებულებაა. შესაბამისად, ახსნა-განმარტებას პირველადი ეფექტით შეუძლია მხარისათვის სასურველი შინაგანი რწმენა ჩამოუყალიბოს სასამართლოს თავიდანვე.

„მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან“.¹⁴⁶

„კერძოსამართლებრივი დავის გარჩევის პროცესში ყურადღებით მოისმენდნენ მხარეების განცხადებებს, მოუსმენდნენ მოწმეებსაც და ამის შემდეგ განიხილავდნენ მტკიცებულებებს (დამამტკიცებელ საბუთებს). ცნობილი მკვლევარი ი. ს. პერეტერსკი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: ძველ რომში მხარეები დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ დამამტკიცებელი საბუთების

¹⁴⁶ გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012, 48; იხ. <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf>[22.04.2019].

წარდგენის საქმეში, ამ საბუთების შეფასება მოსამართლის შეხედულებისამებრ ხებოდა. საქმის განხილვა იმით თავდებოდა, რომ მოსამართლე თავის გადაწყვეტილებას გამოიტანდა. თუ რომელიმე მხარე მოსამართლესთან არ გამოცხადდებოდა, გადაწყვეტილება დამსწრე მხარის სასარგებლოდ გამოჰქონდათ“.¹⁴⁷

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა. სასამართლო პრაქტიკა და დოქტრინა, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების მიმართ მიესადაგება საკანონმდებლო დანაწესს. მოპასუხემ უნდა იაქტიუროს არა მხოლოდ შესაგებლის წარმოდგენაში, არამე კვალიფიციური შესაგებლის წარმოდგენაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი ალბათობით ის წააგებს სასამართლო დავას, თუნდაც მართალი იყოს. შესაგებლის წარდგენის ვალდებულებას სასამართლო განმარტავს, არა როგორც ვალდებულებას, არამედ, როგორც მხარის პირად ინტერესს, კერძოდ, „იურიდიული ვალდებულება მისი კლასიკური გაგებით არ გვაქვს, არამედ მოვალეობა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგი“.¹⁴⁸

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატა განმარტავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს მხარეთა აქტიურობას ფაქტობრივი გარემოებების მითითებასა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის თვალსაზრისით. მხარეთა სასარგებლო ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცება ეკისრებათ თავად მხარეებს. მხარეებმა თავად უნდა განსაზღვრონ, როგორც სასარჩელო ასევე საპასუხო (შესაგებელი) სამართლებრივი სტრატეგია და აქედან გამომდინარე მიუთითონ ფაქტობრივ გარემოებებზე და შესაბამის მტკიცებულებებზე, ან თავი შეიკავონ ასეთი ქმედებისაგან.¹⁴⁹

¹⁴⁷ ნადარეიშვილი გ., „რომის სამოქალაქო სამართალი“, (მესამე გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2009, 25.

¹⁴⁸ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014, 281.

¹⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის, 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის მსჯელობით, შესაგებელით შედავებული უნდა იყოს ყველა ის გარემოება, რომელსაც მოპასუხე არ ეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ჩაითვლება დადასტურებულად. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელე თავისუფლდება მტკიცების ტვირთისგან.¹⁵⁰

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის IV ნაწილი, მოპასუხეს ავალდებულებს კვალიფიციური, კონკრეტული შესაგებლის წარმოდგენას. მოპასუხე ვალდებულია, დასაბუთებულად შეედავოს მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და სამართლებრივ მოთხოვნებს.¹⁵¹

კვალიფიციურია შედავება, როდესაც მოპასუხე შესაგებლით გააბათილებს სარჩელით დასახულ მოვლენათა ჯაჭვს და სასამართლოს შესთავაზებს საქმის ვითარების მისეულ ხედვას, რომელითაც საფუძველს გამოაცლის სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მიზეზშედეგობრივ კავშირს.

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დანერგილი მყარი სასამართლო პრაქტიკით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და დოქტრინით, აღიარებულია, რომ სასამართლო არ არის ვალდებული გაითვალისწინოს მხარის მითითება სამართლებრივ საფუძვლებზე. *„სამოსამართლო საქმიანობა უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას“*.¹⁵² სასამართლო არის მხარეთა მომრიგებელი, გამზავებელი და ნორმათშემფარდებელი, ვალდებულია თავად შეაფარდოს სამართლებრივი საფუძველი და განსაზღვროს, რომელი კანონით, მუხლით ანდა მუხლთა ერთობლიობით უნდა გადაწყდეს დავა.

მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებელი სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს.

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 201-ე მუხლის IV ნაწილი; იხ. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=131>>[12.04.2019].

¹⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016.

*„სარჩელის უარყოფა (არცნობა). მოპასუხეს შეუძლია არ ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ, ან უარყოს ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც სარჩელი ემყარება“.*¹⁵³ ამ ტიპის შესაგებლით მოპასუხემ შესაძლოა სრულფასოვნად განახორციელოს თავის დაცვა. შესაძლოა უარყოფილ იქნეს ფაქტობრივი გარემოებები, რის შედეგადაც შეიცვლება სარჩელის სამართლებრივი საფუძველი, აღნიშნულის შედეგად კი შესალოა სარჩელი ხანდაზმული აღმოჩნდეს, ან სხვა სახის სამართლებრივი პრობლემა აღმოჩნდეს.

*„პროცესუალური შესაგებელი - ესაა მოპასუხის მიერ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, რომლებსაც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები უკავშირებენ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმას, საქმის წარმოების შეწყვეტას, სარჩელის განუხილველად დატოვებას ან კიდევ, საქმის წარმოების დროებით შეჩერებას“.*¹⁵⁴

ეს ისეთი შესაგებელია, როდესაც მოპასუხე მიუთითებს მოსარჩელის მიერ დაშვებულ საპროცესო შეცდომებზე. აღნიშნული შესაგებლით ძირითადად საქმის განხილვის პოცესი ჭიანურდება, ვინაიდან ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ მოსარჩელე თავიდან აღძრავს სარჩელს, თუმცა შესაძლოა ამ ხარვეზის გამო ბაჟის ნაწილი დაკარგოს, ან სულაც სარჩელს ხანდაზმულობის ვადა დაუდგეს.

მატერიალურ სამართლებრივი შესაგებელი. აღნიშნული შესაგებლით მოპასუხე მოსარჩელეს ედავება, მის მიერ კანონის მოთხოვნათა შერულებას. სამართულრთიერთობის არსებობა არ არსებობას და სხვა.¹⁵⁵

პრაქტიკაში უმეტესად მოპასუხე გამოიყენებს, შესაგებლის უმარტივეს ფორმას, რომლითაც უარყოფს სარჩელს, თუმცა არაფერს ამბობს სარჩელის გამომრიცხველ გარემოებებზე. უბრალოდ არცნობა - უარყოფა კი შემდგომ სასამართლოს მიერ არაკვლიფიციურ შესაგებლად ფასდება, რასაც მხარისათვის არასასურველი შედეგი მოყვება.

¹⁵³ ლილუაშვილი თ., „სამოქალაქო პროცესუალური სამართალი“, II გამოცემა, თბილისი, 2005, 221-222; იხ. <<http://lawlibrary.info/ge/books/giz2005-ge-liluashvili-civil-procedures.pdf>>[30.04.2019].

¹⁵⁴ იქვე, 222-223.

¹⁵⁵ იქვე, 224-226.

დასკვნა

მტკიცების ტვირთი არის მხარეთა შესასრულებელი სამართლებრივი ქმედებები, რომელიც აამოძრავებს თემიდას სასწორს. მტკიცების ტვირთი მართლმსაჯულების განხორციელების, უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მტკიცების ტვირთის განხორციელება არ არის სკანონმდებლო იმპერატივი, არამედ სასამართლოს მიერ შესაძლო მისაღები გადაწყვეტილების წინაპირობაა და პირდაპირპროპორციულია, მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის ზიდვისა. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი, არის ძალდაუტანებელი იძულება მხარეთა აქტიურობისა. თუ მხარემ სათანადოდ ვერ ზიდა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი, ის ვერ მოახერხებს უფლების რეალიზებას. შედეგად, სამართალწარმოების ფორმალური მხარის დაუცველობას ეწირება მატერიალური მხარე - მართლმსაჯულება.

მტკიცების ტვირთის სრულფასოვნად ზიდვისათვის, თავს იჩენს ისეთი მნიშვნელოვანი ცნება, როგორცაა მტკიცებულება, რომელიც სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი საყრდენი ინსტიტუტია. მტკიცებულების არსებობა, მოპოვება, შექმნა და წარდგენა სასამართლოში, თავისთავად გულისხმობს პროცესში მონაწილე მხარეთა შორის უფლებამოსილების განაწილებას, თუ ვინ უნდა წარადგინოს მტკიცებულება, ე.ი. ზიდოს მტკიცების ტვირთი.

მტკიცების ტვირთი გამომდინარეობს იმ მატერიალურსამართლებრივი იმპერატივიდან, რომელსაც ირჩევს მხარე სამართლებრივ საფუძვლად. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მტკიცების ტვირთს ძირითადად განსაზღვრავს თავად მხარე, იმის მიხედვით თუ, რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე უთითებს და ამყარებს მოთხოვნას ან შესაგებელს.

მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის ნაწილდება იმისათვის, რომ მხარემ დაამტკიცოს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. მტკიცების ტვირთი აკისრიათ მხარეებს, თუმცა მტკიცების ტვირთის ზიდვა, უფრო ხელსაყრელი და სასურველია მხარისათვის, ვიდრე კანონით დადგენილი იმპერატივი, ვინაიდან მტკიცების ტვირთის არასათანადო ზიდვისთვის

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასჯელს, არამედ მასზეა დამოკიდებული განსახილველი საქმის საბოლოო შედეგი.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მტკიცების ტვირთის ზიდვა არის საპროცესომართლებრივი საქმიანობა, რომლის საშუალებითაც მიიღწევა სასურველი მიზანი - პროცესის მოგება. მტკიცების ტვირთი უნდა ზიდოს იმან ვინც ამტკიცებს და არა ვინც უარყოფს.

მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ისეთი მტკიცებულებები და მტკიცებულებებსა და ფაქტობრივ გარემოებებს შორის გააბან ისეთი ლოგიკური ჯაჭვი, რომ დაადასტურონ მათთვის ხელსაყრელი მიზეზშედეგობრივი კავშირი, რომლითაც საფუძველს გამოაცლიან მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო მტკიცებულებებსა და სამართლებრივ სტრატეგიას.

ნაშრომში გამოიკვეთა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია, მტკიცების ტვირთის შებრუნების შედეგები, როდესაც მტკიცების ტვირთის სუბიექტის სამართლებრივი პოზიცია გაქარწყლებულია და მან ვერ დაადასტურა მის მიერ მითითებული გარემოებები სარწმუნო მტკიცებულებებით. შედეგად, ხდება მტკიცების ტვირთის შებრუნება. სასამართლო პრაქტიკის ანალიზით გამოიკვეთა, რომ მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის შესასუსტებლად საკმარისია მის მტკიცებულებებში საფუძვლიანი ეჭვის შეტანა.

მხარემ ყველა შესაძლო კანონიერი გზით უნდა ამტკიცოს მისი სამართლებრივი პოზიციის უპირატესობა პროცესუალური მოწინააღმდეგის პოზიციაზე. მხარე, რაც უფრო სანდო და მყარ მტკიცებულებებს წარუგენს სასამართლოს, მით უფრო მეტად განამტკიცებს საკუთარ პოზიციებს, რაც აისახება საბოლოო შედეგზე.

ანგლო-ამერიკული „აფიდევიტი“ თავისი შინაარსით გულისხმობს, მოწმის მიერ ნებაყოფლობით, წერილობითი, ჩვენების დეკლარირებას, უფლებამოსილი პირის წინაშე (ნოტარიუსი, ან სხვა), რაც საკმაოდ მოსახერხებელი ფორმაა მტკიცებულების უზრუნველყოფისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მტკიცებულება „აფიდევიტს“ არ იცნობს, თუმცა ითვალისწინებს მოწმის დაკითხვას მის ადგილსამყოფელზე, რაც განსხვავდება აფიდევიტისაგან.

მოწმე შეიძლება დაკითხოს მის ადგილსამყოფელზე, ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის ან სხვა საპატო მიზეზით თუ მას არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში. გარემოებათა მიხედვით მისი ადგილზე დაკითხვა უფრო მიზანშეწონილია, დაკითხულ უნდა იქნეს რამდენიმე მოწმე, რომლებიც ერთ ადგილას ცხოვრობენ და მათი სასამართლოში გამოძახება და დაკითხვა დაკავშირებული იქნებოდა დიდ ხარჯებთან, სხვა შემთხვევებში – სასამართლოს შეხედულებისამებრ.

მხარის დაკითხვა მის ადგილსამყოფელზე გულისხმობს, სასამართლოს მიერ მოწმის დაკითხვას პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით, ან უფლებამოსილი პირების მიერ. მოწმეთა დაკითხვის ეტაპი კი შეიძლება ჩაინიშნოს სარჩელის აღძვრიდან ერთ, ორ, ან სამ წელიწადში. ამ დროისთვის მოწმის წარმოდგენები შეცვლილი, დეტალები კი დავიწყებულია. შესაძლოა მოწმე აღარ იძებნებოდეს, ანდა არ იყოს ცოცხალი.

ვფიქრობ, აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მტკიცებულებათა თავს დაემატოს მუხლი, რომლითაც შესაძლებელი იქნება მოწმის ჩვენების დეპონირება - აფიდევიტი. იმ შემთხვევაში, თუ მოწმის დაკითხვის დროისთვის მოწმეს უშუალოდაც შეეძლება ჩვენების მიცემა, გარდა ჩვენების დაზუსტებისა, ეს კარგი საშუალება იქნება თავად მოწმის მიერ გაცემული ჩვენებების ურთიერთმესაბამისობის დასადგენად. ხოლო, თუ მოწმე ვეღარ შეძლებს ჩვენების მიცემას, ამ შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის ხელთ იარსებებს მოწმის მიერ დეპონირებული წერილობითი ჩვენება. აღნიშნული პრინციპი არსებობს სისხლის სამართალში, სადაც მოწმე უფლებამოსილ პირებს აძლევს ჩვენებას, რომელიც დაერთვის საქმეს, ასევე სამოქალაქო სამართალში, როცა მტკიცებულებად წარდგენილია საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი რეაგირების ოქმი, სადაც დაფიქსირებულია მხარის მიერ მიცემული ჩვენება.

უფრო მეტიც, მოწმის მიერ ჩვენების მიცემის ინსტიტუტს უნდა დაემატოს, ასევე, მუხლი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება, არა მხოლოდ მოწმის ჩვენების წერილობითი დეპონირება, არამედ მოწმის ჩვენების აუდიო-ვიდეო დეპონირება.

ზემოთ მითითებული, ჩვენების დროს მოწმე, ჩართული აუდიო-ვიდეო კამერის წინ ფიცის ქვეშ, მისცემს ჩვენებას თავისუფალი თხრობით ანდა, უპასუხებს, მხარეთა შეკითხვებს, რა დროსაც შედგება ოქმი. ამგვარი ჩვენება ორგანიზებული იქნება თავად მხარეთა წარმომადგენლების მიერ, რომელიმე მხარის მიერ პროცედურისთვის არასაპატიო მიზეზით თავის არიდება, გაათავისუფლებს მეორე მხარეს მტკიცების ტვირთისგან. მტკიცებულების გამოკვლევა - შექმნა მხარეთა მიერ განხორციელდება წინასწარ, მოსამართლის გარეშე, სასამართლოს შენობის გარეთ და აუცილებლად აუდიო-ვიდეო საშუალებებით. აღნიშნული პრინციპი კანონმდებლობით დაშვებულია, კერძოდ „მოწმის დაკითხვა მის ადგილსამყოფელზე“. თუმცა, განსხვავება იქნება ერთი მხრივ ამ პროცედურის ჩატარების დროში, რომელიც არ იქნება დამოკიდებული სასამართლოს მიერ უთავბოლოდ გაწეული პროცესზე, ხოლო მეორე მხრივ მხარეები იძულებული იქნებიან სასამართლო პროცესებამდე არაერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და ჯერ კიდევ ამ ეტაპზე შეექმნებათ წარმოდგენები, თუ ვისი ინტერესების სასარგებლოდ მეტყველებს მტკიცებულებები, შესაბამისად, აღნიშნული ხელს შეუწყობს, როგორც მხარეთა მორიგების პროცესს, აგრეთვე სასამართლოს განტვირთვას ანდა საქმის განხილვის გამარტივებას.

ზემოთ განხილული საკანონმდებლო დამატებები, შესაძლებელს გახდის მოწმეთა ჩვენებების უზრუნველყოფას, სასამართლო ბიუროკრატის გვერდის ავლით, რაც თავად გადატვირთულ სასამართლოსაც არ დააწვება ტვირთად და არ მოუწევს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ნაკლებეფექტურ პროცედურებში ჩართვა.

ასევე, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მოდელისაგან განსხვავებით, მოწმისთვის ჩვენების ჩამორთმევის განხილული საშუალებები დროში უფრო

ეფექტური და სასამართლოსგან დამოუკიდებელი იქნება, რაც გულისხმობს იმას, რომ პროცედურა არ გაჭიანურდება უთავბოლოდ. ასევე, მხარე არ იქნება დამოკიდებული სასამართლოს სათუო ნებართვაზე (დადებით განჩინებაზე).

სასამართლოში საქმის განხილვისას, პრინციპულად, მნიშვნელოვანია დადგინდეს „გასაღები“ ფაქტობრივი გარემოებები, ე.ი. ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ამოხსნიან დავას. ამის მისაღწევად კი, აუცილებელია საკმარისი მტკიცებულებების წარდგენა, ხოლო ზოგჯერ აუცილებელია სასამართლოს მიერ საკანონმდებლო იმპერატივების საზღვრების გაფართოება. მნიშვნელოვანია სასამართლომ საკმარის მტკიცებულებად მიიჩნიოს აუდიო ანდა ვიოდეო ჩანაწერი, იმ შემთხვევებში, თუ მხარეს სხვა მტკიცებულება არ გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა შეიძლება მხოლოდ წერილობით მტკიცებულებას უშვებდეს გარკვეული ტიპის საქმეზე.

ანალიზის საფუძველზე, ნათელია, რომ სასამართლოს არ აწევს მტკიცების ტვირთი. სასამართლო მტკიცებით საქმიანობაში მონაწილეობს მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით და არა პროცესის მოგების მიზნით. მტკიცების ტვირთი უნდა ზიდონ მხარეებმა და მესამე პირებმა (მათი არსებობის შემთხვევაში). მტკიცების ტვირთი უნდა ზიდოს პროცესში მონაწილე იმ მხარემ, რომლისთვისაც ფაქტობრივი გარემოების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში გამოვა უარყოფითი გადაწყვეტილება.

მტკიცების ტვირთი არის მხარის ვალდებულება დაამტკიცოს და ერთმანეთს დაუკავშიროს თავისი სამართლებრივი პოზიციის ყველა ელემენტი. ამ მიზნის მიღწევა მხარეს შეუძლია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების საშუალებებით.

წინამდებარე ნაშრომში, ასევე, გამოიკვეთა შესაგებლის, როგორც უმნიშვნელოვანესი პროცესუალურ-სამართლებრივი ინსტრუმენტის მნიშვნელობა. შესაგებლის წარდგენისას უმნიშვნელოვანესია მხარემ წარადგინოს კვალიფიციური შესაგებელი და კვალიფიციური შედავება, რისი საშუალებითაც

მოპასუხე გააბათილებს მოსარჩელის მიერ სარჩელით დასახულ მოვლენათა ჯაჭვს და სასამართლოს შესთავაზებს მოვლენეთა განვითარების მისეულ ხედვას, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს ანდა საფუძველს გამოაცლის მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მიზეზშედეგობრივ კავშირს.

პრაქტიკაში, უმეტესად, მოპასუხე იყენებს შესაგებლის უმარტივეს ფორმას და მიუთითებს, რომ არ ეთანხმება სარჩელს, თუმცა არაფერს ამბობს სასარჩელო მოთხოვნის გამომრიცხველ გარემოებებზე. სარჩელის მხოლოდ არცნობა - უარყოფა კი, შემდგომ, სასამართლოს მიერ არაკვლიფიციურ შესაგებლად ფასდება, რასაც მხარისთვის არასასურველი შედეგები მოყვება. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსამართლე არღვევს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს და თავად გვევლინება მხარედ.

მიმაჩნია, რომ შესაგებლის სახეობებიდან ყველაზე უფრო ხელსაყრელია, **ფორმალური შესაგებელი**. აღნიშნული შესაგებელი თავის თავში მოიცავს, როგორც სარჩელის არცნობას, ასევე პროცესუალური და მატერიალური შესაგებლის ელემენტებს, იმ განსხვავებით, რომ ამ ტიპის შესაგებელში არ არის კონკრეტული შეპასუხება, თუმცა მასში გამოყენებული ზოგადი მითითებებით შესაძლებელია საქმის განხილვისას მისი განმარტება ისე, როგორც მოპასუხისათვის არის ხელსაყრელი.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად აუცილებელია კანონმდებლობის მუდმივი ცვლილება და განახლება, რაც გავლენას ვერ ახდენს სამართლის ძირეულ პრინციპებზე. ანტიკური რომიდან, ქართული ჩვეულებითი სამართლისა და თანამედროვეობის გათვალისწინებით ნათელია, რომ მტკიცებითი სამართლის ძირეული პრინციპები უცვლელია და შესაბამისად უმნიშვნელოვანესია საკითხის პრინციპების დონეზე შესწავლა და გაანალიზება.

მტკიცების ტვირთის ზიდვა არის საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, რომლითაც დაისახება ფაქტობრივი გარემოებების უწყვეტი ჯაჭვი და აშკარავდება სიმართლე.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონი „საქართველოს კონსტიტუცია“;

საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“;

საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“;

საქართველოს კონსტიტუცია (2015 წლის 08 თებერვლის მდგომარეობით), იურისტების სამყარო, თბილისი, 2015;

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი;

http://www.legalaid.ge/files/1/GBA_Code.pdf.

სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე

აბრამიშვილი ლ., „მექრთამეობისთვის გათვალისწინებული სასჯელები ძველი ქართული სამართლის წიგნების მიხედვით“, (სტატია) სამართლის ჟურნალი, Journal of Law, თბილისი, N1, 2011;

https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/Sam%20journ%20N1%202011.pdf;

ამილახვარი თ. „მტკიცების ტვირთი საერთო სამართლის ქვეყნებში“ სტატიათა კრებული, „მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები“, (რედ. ნუნუ კვანტალიანი), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 1;

ახალაძე მ., „მტკიცების ტვირთი“, (2015-2017 წლის I ნახევარი), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2018; <http://www.library.court.ge/upload/mtkicebistvirt.pdf>;

ბიჭია მ., „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“, (დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული გამოცემა), ბონა კაუზა, თბილისი, 2018;

გაბისონია ლ., „სამეგრელო საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია“, (ტომი I), მერიდიანი, თბილისი, 2005;

დავითაშვილი გ., „სასამართლო მტკიცებულებათა სისტემა ქართულ ჩვეულებით სამართალში“ (სტატია) Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence N1, 2004; [file:///C:/Users/user/Downloads/1023%20\(2\).pdf](file:///C:/Users/user/Downloads/1023%20(2).pdf);

თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., „განმარტებული იურიდიული ლექსიკონი“, GIZ, 2012;

თოთლაძე ლ., „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი II, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თბილისი, 2018;

კაიშაური ბ., „ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე“, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2011;

ლობჯანიძე გ., „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2009;

ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (I ნაწილი), სამართალი, თბილისი, 2014;

ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“, (მეორე გადამუშავებული და შესწორებული გამოცემა), სამართალი, თბილისი, 2007;

ლილუაშვილი თ., „სამოქალაქო პროცესუალური სამართალი“, II გამოცემა, თბილისი, 2005;

<http://lawlibrary.info/ge/books/giz2005-ge-liluashvili-civil-procedures.pdf>

ლილუაშვილი თ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005;

მეტრეველი ვ. „რომის სამართალი“ (საფუძვლები), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2009;

ნადარეიშვილი გ., „რომის სამოქალაქო სამართალი“, (მესამე გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 2009;

სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., „სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა“, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016;

ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, (მეორე გამოცემა შევსებული და გადამუშავებული), მერიდიანი, თბილისი, 2015;

ცერცვაძე გ., „მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა“, (ზოგადი მიმოხილვა), მერიდიანი, თბილისი, 2010;

ძამუკაშვილი დ., „შრომის სამართალი“, (მე-5 გადამუშავებული გამოცემა), ბონა კაუზა, თბილისი, 2019;

ჭანტურია ლ., „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, სამართალი, თბილისი, 2011;

ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის იტორია, წიგნი პირველი, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1928;

http://www.library.court.ge/upload/qasais_I.pdf;

სამეცნიერო ნაშრომები:

გაგუა ი., „მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში“, (დისერტაცია), თსუ, 2012;

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ilona_gagua.pdf;

ირემაშვილი მ., „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების ანალიზი“, (სამაგისტრო ნაშრომი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018;

<http://www.library.court.ge/upload/9682018-09-16.pdf>;

ხმალაძე მ., „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების წარმოშობის სამართლებრივი ასპექტები (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები), (სამაგისტრო ნაშრომი), სსუ, თბილისი, 2018;
<http://www.library.court.ge/upload/44302018-09-19.pdf>.

მოხსენება:

საქართველოს პარლამენტი, ლეილა არხოშაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232 პრიმ და 201-ე მუხლებში ვცლილება-დამატების თაობაზე.; <https://info.parliament.ge/#law-drafting/12848>;

სამეცნიერო ჟურნალები:

როსტიაშვილი გ., დეკანოზიშვილი გ., „ექსპერტიზა და მართლმსაჯულების პრობლემები“, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, სპეციალური გამოცემა N2, 2015, http://www.library.court.ge/upload/samartali_da_msoflio.pdf;

სასამართლო პრაქტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, 2018 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე Nზს-975-971(კ-17);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1230-2018;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება Nას-664-635-2016;

საქართველოს უზენაესი სასამართლო, დიდი პალატა, 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება, საქმეზე N ას-121-117-2016;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2016 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე Nას-344-329-2016;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2014 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N ას-204-191-2014;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2016 წლის 10 ივნისის განჩინება, საქმეზე N 2ბ/6052-15’;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2016 წლის 19 სექტემბრის განჩინება, საქმეზე N2/370-16;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2016 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება N2ბ/92-15;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2ბ/771-12;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 2011 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2ბ/4378-10.

ნორმატიული აქტები უცხოურ ენაზე

EVIDENCE ACT 1995;

CALIFORNIA EVIDENCE CODE;

Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации" от 14.11.2002 N 138-ФЗ (ред. от 27.12.2018) (с изм. и доп., вступ. в силу с 28.12.2018);

[http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_39570/86dec005acc612a11374dc5a7e98523965f7e9b2/;](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_39570/86dec005acc612a11374dc5a7e98523965f7e9b2/)

ЗАКОНЫ, КОДЕКСЫ И НОРМАТИВНО-ПРАВОВЫЕ АКТЫ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ, „Судебная практика и законодательство — ГПК РФ. Статья 56. Обязанность доказывания“, Определение Верховного Суда РФ от 06.06.2017 N 71-КГ17-5;

<https://legalacts.ru/kodeks/GPK-RF/razdel-i/glava-6/statja-56/>

სამეცნიერო ლიტერატურა უცხოურ ენაზე

ჰაგენლოხი უ., მტკიცების ტვირთი გერმანულ საპროცესო სამართალში (მოხსენება) მთარგმნელი მესხიძე ი., (GIZ), N7(2018);

http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-Research-Onus_of_Proof.pdf;

Hearsay Evidence, Most Common Hearsay Exceptions;

<https://criminal.findlaw.com/criminal-procedure/hearsay-evidence.html>;

Гуев А.Н. Постатейный комментарий к Гражданскому процессуальному Кодексу Российской Федерации; <https://kommentarii.org/gpk/page64.html>;

Мартынова М.Н., “Судебные доказательства в гражданском процессе”, (Рецензент: Юргель О.Н.), Нижегородский Государственный Университет им. Н.И. Лобачевского, Г. Нижний Новгород 2008, 1; <https://works.doklad.ru/view/XTIYS9umVRA.html>.

ინტერნეტ რესურსები

http://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html

https://rationalwiki.org/wiki/Argument_from_ignorance

<https://civilprocedure.uslegal.com/trial/burden-of-proof/>

<https://www.justia.com/trials-litigation/docs/caci/200/201/>

<https://navlasov.livejournal.com/45720.html>

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-0l--11-en-00---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL4.3&d=HASH0159ca19fd33b78888fe6dd3.6>=1>

<http://idi.ge/74-mtkicebithi-procesi-samoqalago-saprocso-samarthalshi.html>

<https://www.youtube.com/watch?v=mHISjQ5KZ5s>

<https://www.youtube.com/watch?v=JvTIAW6oIrg>

<https://www.youtube.com/watch?v=Qnmxmu1Ntil>

<https://www.youtube.com/watch?v=7WbCxzbIJ8k>

<https://www.youtube.com/watch?v=LCD99bGYYa0>